სპორტი

სპორტული გაზეთი შაბათი 3 ივნისი 2006 №125 (2747) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

BARBARIANS

მსოფლიო რაგბის ლიგის ვიცეჩემპიონები და ჩვენ: კაცური თამაშის მისიონერებმა ასმეთექვსმეტე წელს მეთვრამეტე ქვეყანა მოიხილეს

ბარბაროსთა ტურნე. 4 ივნისი

საქართველო - ბარბაროსები

18.00. თბილისი. «მიხეილ მესხი»

ბოდბილ ჯეიმსლაძის ფოტოები

ფიფამ გოლი 2 უკან გაიტანა

ნაბიჯ წყალს ბავშვიც გადააყოლესო, შესაძლოა, ისე დაემართოს საქართველოში „გოლი 2"-ის პროგრამას. ფიფას ეს პროგრამა ყველა ფედერაციისთვის ბოლო თაობის სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობას ითვალისწინებს. მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანომ ადრეულ ეტაპზევე გამოუყო საქართველოს კუთვნილი 450 ათასი დოლარი.

დავიდარაბაც აქედან დაიწყო...

პირვანდელი გეგმით, „გოლი 2"-ის პროგრამით ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" უნდა გაკეთებულიყო მოედანი. თითქოს პროექტის რეალიზებას არაფერი უნდა დადგომოდა წინ, მაგრამ ფედერაციაში გენმდივანი შეიცვალა, ვალერი ჩოლარიას კაბინეტი ანდრო აბაშიძემ დაიკავა და ორიოდ თვის შემდეგ თავადვე გაახმაურა — ფიფამ საქართველოში ამ პროგრამის მოქმედება შეაჩერაო. 2004 წლის შემოდგომაზე გენმდივნის პოსტზე ისევ ჩოლარია დაბრუნდა, პროგრამის აღდგენა ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა და მოხერხდა კიდეც. შარშან ივნისში უკვე ფედერაციის პრეზიდენტი შეიცვალა და „გოლი 2"-ის რეალიზება ნოდარ ახალკაცს დაეკისრა.

გასულ ზამთარში თბილისში ჩამოსულმა ფიფას დახმარების პროგრამების მენეჯერმა ევა პასკიემ და ფიფას აღმოსავლეთ ევროპის კოორდინატორმა ვალერი ჩუხრიმ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, თქვენი ფეხბურთის ფედერაცია ჩვენი კარგი პარტნიორია და ყველა პროგრამა შეუფერხებლად ხორციელდებაო.

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს: სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ფიფამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში „გოლი 2"-ის კიდევ ერთხელ შეჩერების შესახებ. მიზეზი? ამდენი ხნის განმავლობაში ქართულმა მხარემ ვერ მოახერხა პროექტის რეალიზება და ჯერჯერობით საბოლოოდ ისიც არ არის გადაწყვეტილი, სად დაიგება ეს მოედანი. ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა — ფეხბურთის ფედერაციას ახალი ტექნიკური ცენტრის მშენებლობის იდეაზე ხელი ჯერ არ აუღია. ესეც არ იყოს, გასარკვევია, „ბასაში" ხელოვნურსაფარიანი მოედანი დღეს არსებული ბუნებრივსაფარიანის ადგილას გაკეთდება თუ ეზოს სიღრმეში გადაიწევს, სადაც სტანდარტული ზომის მოედნისთვის ადგილი აშკარად არასაკმარისია.

მოკლედ, ფიფას ჩვენი მიზეზები ნაკლებად აინტერესებს და გადაწყვეტილება ევა პასკიეს დონეზე უკვე მიღებულია. რამდენად საბოლოოა ეს გადაწყვეტილება, დრო გამოაჩენს. ეგებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ შეძლოს ამ საქმის, ანუ პროგრამის წაღმა შემოტრიალება.

გიორგი ნოზაძე

კალაძემ შევას შეუქო და დაუწუნა

ანდრეი შევჩენკოს „ჩელსიში" გადასვლა უკვე შეიძლება, წლის ტრანსფერად ჩაითვალოს. რა ძალა დაკარგა „მილანმა" და რა ძალა შეემატა ჟოზე მაურინიუს გუნდს, ეს სეზონის დაწყებისას უფრო ნათლად გამოჩნდება.

მანამდე კი კომენტარები... ერთ-ერთმა იტალიურმა ვებ-გვერდმა კახა კალაძესაც ჰკითხა აზრი, სწორად მოიქცა თუ არა შევჩენკოო, რაზეც ჩვენიანმა არცთუ ტრაფარეტულად უპასუხა: „გაწბილებული ვარ ანდრეის „ჩელსიში" წასვლით, ის ნამდვილი ჩემპიონი და ჩემი დიდი მეგობარია. ერთის მხრივ მიხარია, რადგან შევჩენკომ ლონდონში გადასვლა-არგადასვლაზე ბევრი იფიქრა, ანუ რაც მისთვის უკეთესი იყო, ის გააკეთა. თუმცა, არა მგონია, „შევას" ინგლისში ადაპტირება გაუადვილდეს — იტალიაში საოცარი ატმოსფეროა, ინგლისში და გერმანიაში კი ასეთი მეგობრობა არ იციან. ასე რომ, ლონდონში მას ისე ძალიან ვერ შეიყვარებენ, როგორც მილანში უყვარდათ. ეს ჩემი აზრია".

ილია ნანოგაფვილი

სერბეთი პუროვიჩმა ველარ დააპურა

საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრების მომავალმა მეტოქე სერბეთმა ევროპის ჩემპიონობაზე ფიქრი დაასრულა. დრაგომირ ოკუკას გუნდმა ნახევარფინალში უკრაინასთან წააგო — ძირითად-დამატებითი დრო 0:0 დამთავრდა, პენალტებში კი უკრაინამ 5:4 მოიგო. სერბთაგან გადამწყვეტი პენალტი ფორვადმა მილან პუროვიჩმა გააცუდა და ახლა ბალკანელები მესამე ადგილისთვის მატჩში ფრანგებს შეხვდებიან, რომლებსაც ჯგუფში უკვე ეთამაშნენ და 0:2 დამარცხდნენ.

სერბეთი — უკრაინა მთლიანობაში თანაბარი თამაში იყო, თუმცა ბალკანელებს უფრო ჰქონდათ საგოლე მომენტები — მარტო წელან ნახსენებმა პუროვიჩმა ხუთი (!) ასპროცენტიანი შანსი ვერ გამოიყენა, ასევე ვერ ივარგეს იანუკოვიჩმა და ბასტამ.

დრაგომირ ოკუკამ უკრაინასთან ასეთი შემადგენლობა ათამაშა: *სტოიკოვიჩი, ივანოვიჩი (რნიჩი 91), ტოშიჩი (იანკოვიჩი 65), სტეპანოვი, ბიშევაცი, ლომიჩი, ბასტა, მილიაში, კრასიჩი, ტოდოროვიჩი (მილოვანოვიჩი 76), პუროვიჩი.*

ილია ნანოგაფვილი

გაფრი ჯეიფლაძის ფოტო

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი, 69 კეპის მომხვეჭმა გიორგი ნემსაძემ ფეხბურთელის კარიერა შარშან გაზაფხულზე დაასრულა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატიც იყო. კანდიდატურის მოხსნის შემდეგ ნემსაძე ისევ ფეხბურთში დარჩა, აქვს თავისი სახელობის საფეხბურთო სკოლა და თან ფიფას ლიცენზირებული აგენტიცაა. ნემსაძეს სხვადასხვა საკითხზე ვესაუბრეთ, მთავარი თემა კი ეროვნული ნაკრები იყო...

ოპოზიციური აზრები

გიორგი ნემსაძე: არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტოპმიოლერი საკმაოდ დიდ ხელფასს იღებს

— საქართველოს ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის ტაქტიკური სქემა და მისი კონცეფცია ასე თუ ისე ცნობილია, თუმც რამდენიმე რგოლზე კონკრეტულად ვთქვათ — როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრებში უცხოელი მეკარის მოწვევა არააქტუალურია?

— მეკარე ნახევარი გუნდია და ვიდრე ესა თუ ის პერსპექტიული მეკარე გაიზრდება, შესაძლოა, ნაკრებს კიდევ ერთი შესარჩევი ციკლი ჩაუვარდეს. კარგი იქნება, თუ დიდი საფეხბურთო ქვეყნიდან ისეთ გამოცდილ მეკარეს მოვიწვევთ, რომელიც საკმაოდ მაღალ დონეზე თამაშობს, მაგრამ თავისი ქვეყნის ნაკრებში ვერ ხვდება. ასეთი მეკარის გვერდით ახალგაზრდა და პერსპექტიული ქართველი მეკარეც გაიზრდება.

— მიგაჩნიათ, რომ დაცვაში საქართველოს ნაკრებს ჰყავს ისეთი ლიდერი, რომელიც მთელ რგოლს შეადუღაბებს?

— ვფიქრობ, საქართველოს ნაკრების დაცვის შეკვრა და ლიდერობა კახა კალაძეს შეუძლია.

— გამომდინარე ფეხბურთელების იმ რესურსიდან, რაც დღეს საქართველოს გააჩნია, ნაკრებისთვის როგორი ტაქტიკური სქემა მიგაჩნიათ მიზანშეწონილად?

— ასეთად 4-4-2 მიმაჩნია. ტოპმიოლერმა კი 4-3-3 ირჩია და ჭნდა ჩავთვალოთ, რომ მას ამ საკითხზე ჩემზე უფრო მეტი ექნება ნაფიქრი, მაგრამ ისიცაა, რომ აქ ჩვენზე მეტი ნანახი არ ექნება. იმას კი წყალი არ გაუვა, რომ ტაქტიკა დგინდება იმის მიხედვით, რა ფეხბურთელებიც გყავს.

— ტოპმიოლერმა ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან მატჩებისთვის არ გამოიძახა ლადო ბურდული — ამაზე რას იტყოდით?

— ჩემი აზრით, ბურდული კარგ ფორმაში იყო და ნაკრებში გამოძახებას იმსახურებდა. მეგონა, რომ ტოპმიოლერი მას აუცილებლად გამოიძახებდა.

— გამოძახებულთა შორის კვლავ არ იყო დავით სირაძეც...

— სანამ სირაძე აუე-ში გადავიდოდა, მას საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ვაკვირდებოდი და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა. სირაძემ რამდენიმე გოლი გაიტანა მეორე ბუნდესლიგაში და ის უნდა გამოიძახონ ნაკრებში. ნაკრების მწვრთნელს ალბათ გარკვეულ ეტაპებად აქვს დაგეგმილი ფეხბურთელების ნაკრებში გამოცდა და, ალბათ, ყველა კანდიდატს მისცემს შანსს.

— სირაძის საკითხი ალბათ იმითაცაა აქტუალური, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრები ერთი გამოკვეთილი ცენტრფორვარდით თამაშობს და, ფაქტობრივად, ერთი მაღალკვალიფიციური ცენტრფორვარდის გარდა სხვა არ გვყავს...

— შოთა არველაძის გარდა ალექსანდრე იაშვილიც გვყავს და მისი ჩამოწერა არ შეიძლება, ის ძალიან საჭირო ფეხბურთელია ნაკრებისთვის. ცენტრფორვარდის პოზიციაზე ნაკრებში ალბათ მას და არველაძეს მოუწევთ კონკურენცია.

— ტოპმიოლერს სამწვრთნელო გუნდში მეტწილად თანამემამულეები ჰყავს და საქართველოში დიდ დროს არ ატარებს...

— ტოპმიოლერის სამსახური საქართველოს იაფი არ უჯდება და ამხელა ხარჯი კიდევ უფრო იქნებოდა გამართლებული, თუ მის გვერდით ეროვნულ ნაკრებში ისეთი ქართველი მწვრთნელი იმუშავებდა, ვისაც უკვე გამოუჩენია თავი ჩვენთან, ვინც ტოპმიოლერისგან ბევრს ისწავლიდა და ამას ქართული ფეხბურთისთვის გამოიყენებდა. არაა კარგი, რომ ტოპმიოლერი დიდი ხნით არ რჩება ხოლმე საქართველოში — არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის საკმაოდ სოლიდურ გასამრჯელოს იღებს.

— ოპოზიციური აზრები გაქვთ — გაისადაც ხომ არ აპირებთ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას?

— ალბათ არა, თუმცა ვნახოთ... საფეხბურთო სკოლა მაქვს, მენეჯერი ვარ და კიდევ მაქვს რაღაც გეგმები.

— როგორც მენეჯერი, ერთი წარმატებული ტრანსფერი უკვე განახორციელეთ — ლევან მელქაძე ნორვეგიულ „ვოლერენგაში". ვინ იქნება შემდეგი?

— ვაპირებ, ჩემმა საქმიანობამ შვეიცარია და გერმანიაც მოიცვას. ახლა ინტენსიურად ვმუშაობ ზესტაფონელი გიორგი ჭელიძის ტრანსფერზე.

— საქართველოს ჩემპიონატში კიდევ რომელ ფეხბურთელებს მიიჩნევთ სატრანსფეროდ საინტერესოს?

— იმედაშვილს, წინამძღვრიშვილს, სეთურიძეს, ფიფიას... მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში აღარ მოდიან ჯამარაულის, არველაძეების და ქინქლაძის დარი ფეხბურთელები.

— და ეს ყველაზე უფრო რისი ბრალია?

— 90-იან წლებში საქართველოში შექმნილმა არეულობამ ხელი შეუშალა ქუჩის ფეხბურთის განვითარებას, რომელიც დიდ როლს თამაშობს ფეხბურთელის ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, ჩვენთან ბავშვთა ფეხბურთი არ არის დაყოფილი ეტაპებად — 6-დან 9 წლამდე, 9-დან 12-მდე, 12-დან 14-მდე და 14-დან ზემოთ — წვრთნის სპეციფიკა ასაკის ასეთნაირად დაყოფის მიხედვით უნდა განისაზღვროს და ბავშვთა ფეხბურთში მოსაქმე მწვრთნელებიც ამის მიხედვით უნდა დავყოთ. სხვადასხვა ასაკის ბავშვების გაწვრთნაში მწვრთნელი ერთნაირად წარმატებული ვერ იქნება.

დავით თავართქილაძე

ჩერნიშოვი ლოკომოტივში ჩაჯდა

თბილისის „დინამოს" ყოფილი თავკაცი ანდრეი ჩერნიშოვი ვიტებსკის „ლოკომოტივის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მხარეები უკვე ყველაფერზე შეთანხმდნენ და კონტრაქტის გაფორმების დღედ 5 ივნისი დათქვეს.

შეგახსენებთ: ჩერნიშოვმა ზამთარში ჩაიბარა თბილისის „დინამო", თუმც სეზონის ბოლოს გაირკვა, რომ ჩვენები რუს მწვრთნელთან ურთიერთობის გაგრძელებას არ აპირებდნენ და ასეც მოხდა — ახლა „დინამოს" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ჩერნიშოვის ყოფილი თანაშემწე კახა კაჭარავა ასრულებს.

კახა შალამბერიძე

მიუნხენის რკინიგზის ბურთ-სალარო

„მინი-ალიანს არენა“ მიუნხენის აეროპორტში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში კი არა, მიუნხენში მინდა

დაუპატიჟებელი ქართველის სევდიანი ფიქრები აფრენილ ალალზე

კობა ინასარიძე მიუნხენიდან

დაბიჯები გერმანიის მიწაზე და ღრმად ჩაისუნთქეთ მსოფლიოს ჩემპიონატი. გახსნამდე ერთი კვირით ადრე გერმანიის ჰაერიც კი უკვე მუნდიალითაა გაჯერებული, საფეხბურთო მსოფლიოს ყველაზე თადარიგიანმა ნაწილმა კი მომავალი ბატალიების ეპიცენტრში უკვე დასცა ბანაკი.

ჩემთვის მუნდიალი მიუნხენის აეროპორტიდან დაიწყო. თვითმფრინავების 90 პროცენტს ილუმინატორების ქვეშ ინგლისურად აწერია: „ითამაშეთ ფეხბურთი“. თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც თავად ქალაქში ხდება, ხალხი თითქოს ჭკუიდანაა გადასული და მხოლოდ ფეხბურთი აბოდებს. ჩემპიონატის ემბლემა „ვინი“ აბსოლუტურად ყველაფერს დაღავს — ცათამბჯენებიდან დაწყებული, საკანცელარიო საქონლით დამთავრებული. თითქმის ყველა ქუჩის კუთხეში საათი დგას, რომელზეც დროის უკუათვლაა დაწყებული და წამის სიზუსტით აღირიცხება მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალურად გახსნამდე დარჩენილი დრო.

პრაგმატული ხალხი ეძახე და, გერმანელთა ბიზნესგაქანებამ ერთი შეხედვით შეუთავსებელიც კი შეუთავსა ფეხბურთს: სექსშოპების ვიტრინებში გამოფენილი მანეკენებიც კი მუნდიალის მონაწილე გუნდების მაისურებში გამოუწყვიათ და ამით იზიდავენ მუშტარს.

საყოველთაო აღტყინების მიუხედავად, მასპინძლები ერთობ პესიმისტურად აფასებენ საკუთარი გუნდის შანსებს. ვისაც გინდა დაეკითხო, გერმანიას ფავორიტთა შორის არავინ ასახელებს, თუმცა ამასაც აქვს თავისი ახსნა — მიუნხენი ბავარიის გულია, ოლივერ კანი კი სრულიად ბავარიის კერპი. მოგეხსენებათ, ბუნდესმწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა ოლი სათადარიგოთა რანგში გადაიყვანა და პირველმეკარის ტიტული კანის აქამომდელ დუბლიორ იენს ლემანს უბოძა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ დღეს ბავარიაში იურგენ კლინსმანი ყველაზე „ლანძღვადი“ ფიგურაა. გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში ბავარიის უდიდესი როლიდან გამომდინარე ამ მიწას ყველა დანარჩენში, მათ შორის სპორტშიც წონადი სიტყვა ეთქმის და ახლა კლინსმანის ადგილზე ყოფნას ბევრი არ ინატრებდა.

უამრავი ჟურნალ-გაზეთის კვალად, რომელიც აქამდეც გამოდიოდა გერმანიაში, დახლებზე საგანგებო ჰოლიგრაფიული ნაწარმიც გაჩნდა — ორასგვერდიანი ჟურნალები, ბროშურები, მეგზურები ტურისტთათვის... მათი წილი სარგებელი მუნდიალიდან მესტამბეებმაც მიიღეს — ეს ბეჭდვითი მედია და, ტელევიზიას რაც შეეხება, ყველა არხზე ლამის ორ წუთში ერთხელ გადის სამსოფლიოსჩემპიონატო რეკლამა.

აეროპორტიდან გამოსვლის შემდეგ უკვე იქაურმა ავტობუსებმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ისინი მონაწილე გუნდების ფერებში შეღებავთ და უკანა საქარე მინაზე შესაბამისი ქვეყნის დროშაა გამოსახული. უკრაინას და საუდეთს ვინ ჩივის, ტოგოსა და ტრინიდადის დროშებმაც ჩამიარეს. როგორ გინდა კაცს, რომ მიუნხენის ქუჩებში მიმავალ რომელიმე ავტობუსზე საქართველოს ხუთჯვრიანი დროშაც დაინახო, მაგრამ ააფრინე ალალი... ჩვენ ამ ზეიმზე არ ვართ დაპატიჟებულნი...

geo_geo_fan@hotmail.com

როგორც იქნა, ქართველმა გულშემატკივარმა ტოპისეული საქართველოს ნაკრების თამაში ნახა. სამწუხაროდ, ვერ ვამბობ, ვნახეთ-მეთქი, რაკი პარაგვაის ჰიმნისას შუქი გამომირთეს, რის გარეშეც, ტელევიზორი, მოგეხსენებათ, არ მუშაობს. მაგრამ მთავარი ეს არ არის. ამ რუბრიკაში მთავარი თქვენი წერილებია. ქვემოთ სამ წერილს წარმოგიდგენთ. სურვილი, რომელიც ამ წერილების წაკითხვისას გამიჩნდა, ის იყო, პირველი წერილის ავტორისთვის მესამე წერილის ავტორი გამეცნო, რათა ნაღდ გულშემატკივრებს ერთად შეეძლოთ თამაშების ყურება. დანარჩენი კი თავად წაიკითხეთ...

AVTOMU-05: გამარჯობათ სარბიელელებო. პირადად მე ძალიან მომეწონა ჩვენი ნაკრების თამაში, მშვენივრად ითამაშეს ჩვენმა ფეხბურთელებმა, მაგრამ, სამწუხაროდ, წააგეს და სწორედ ეს არის საინტერესო, თუ რა მოჰყვა საქართველოში ამ წაგებას — რატომღაც დიდი პესიმიზმი. მე არ მოვყვები მატჩის გარჩევას და ფეხბურთელების შეცდომებზე ლაპარაკს, რადგან მიმაჩნია, რომ დღეს ნაკრებს ჩემზე უკეთესი სპეციალისტები უდგანან სათავეში და თავად ისინი გაანალიზებენ ყველაფერს. მე კი მინდა აღვნიშნო, რომ მერჩივნა, ასეთი თამაში წაეგო, ვიდრე შემთხვევით მოეგო, რადგან ამხანაგურ მატჩში მოგება-წაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას არ აინტერესებს თამაშის პერიპეტიები, მხოლოდ შედეგს უყურებენ, არ კითხულობენ გაზეთებს და არც უყურებენ თამაშს, იმის გასაგებად, თუ როგორ ითამაშა საქართველოს ნაკრებმა. ქართველების უმეტესობას არ აინტერესებს თამაშის განხილვა, პროფესიონალების აზრი. მე მინდა მოვუწოდო მათ, უფრო ხალი თვალით შეხედონ ფეხბურთს, რადგან ფეხბურთი მხოლოდ 20-თეთრიან გაზეთში წაკითხული შედეგი არ არის, უფრო მეტია. პირადად მე ახალი ზელანდიიდან მოყოლებული, ჩემს მეგობრებთან მიწევს იმის დამტკიცება, რომ საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა და მათ მიერ წაკითხული შედეგი არ ასახავს თამაშის მსვლელობას. ვერაფრით გადავარწმუნე. ერთმა მეგობარმა ისიც მითხრა, რომ საქართველოს ნაკრებს რომ გულშემატკივარი ჰყავს და გვერდით უდგას, ასეთი მხარდაჭერა არავის აქვსო. მე კი მინდა განვასხვაო: **საქართველოს ნაკრებს გულშემატკივარი არ ჰყავს, საქართველოში მარტო მოგებას „ბალეშჩიკობენ!“** თამაშებზე მისულთა უმრავლესობა სწორედ ასეთია. ისინი თამაშის დასაწყისში მთელი ხმით ღრიალებენ და მხარს უჭერენ თავიანთ გუნდს, წაგების შემთხვევაში კი შეურაცხყოფას აყენებენ ფეხბურთელებს და ამის შემდეგ თავიანთ თავს საქართველოს გულშემატკივრებს უწოდებენ. ალბათ, ძალიან გადავუხვიე თემას, მაგრამ ნაკრების წარმატებისთვის ეს პრობლემა საკმაოდ მნიშვნელოვნად მიმაჩნია.

...უკვე მესმის ასეთი სიტყვები: „ტოპმიოლერის იმედი მქონდა, მაგრამ ამათგან მაინც არაფერი გამოდის“. მე მინდა, მოვუწოდო ქართველებს — თავი შეიკავონ ასეთი განცხადებებისგან, რადგან ხალხის ასეთი მიდგომა უარყოფითად გადადის ფეხბურთელებზე. პირველ რიგში, გულშემატკივრები უნდა მოვემზადოთ გამარჯვებისთვის და შემდეგ, ალბათ, ყველაფერი მოვა, შეუძლებელის მოთხოვნას, საერთოდ არ მოვითხოვოთ, ჯობია...

KOKO: ესეც ასე, ხომ ვამბობდი, პარაგვაისთან უკეთესად ვითამაშებთო? როგორც იქნა, ჩვენი ნაკრები გუნდს ემსგავსება და ეს უკვე ძალიან კარგია. მე მჯერა, რომ ტოპი თავის სიტყვას იტყვის. ძალიან მინდა, მალე ხმამაღლა ვიყვირო: DANKE TOPPI! მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ ჯერ დროა საჭირო.

მიდით, ბიჭებო, ოღონდ თქვენ გაგვახარეთ და დანარჩენი ჩვენზე იყოს, იმდენს ვიღრიალებთ, იმდენს, რომ... მომენატრა კაი ქომაგობა და გადაჭედილი სტადიონი, ოღონდ ისეთი, თამაშის მერე კმაყოფილი რომ ბრუნდები სახლში.

კარგად მენახეთ სარბიელელებო.

LONG-70: სალამი „სარბიელს“ და WEB-მასტერ ბუარას!

აჰა, როგორც იქნა, ესეც ვნახეთ — ტოპის საქართველო „ლაივში“! და რა დავინახეთ ამ „ლაივ-მატჩში“? საკმაოდ ნორმალურად მოთამაშე ნახევარდაცვა-თავდასხმა, არცთუ მაღალი დონის მსაჯობა, უიღბლობის თუ უკლასობის (?) გამო გაფუჭებული საგოლე მომენტები და ძილისპირულმოსმენილი დაცვა, რომელსაც კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ) ტაიმის ბოლოს „ჩამოეყვინთა“! როგორ თქვა ტოპმიოლერმა? მომდევნო თამაშს საქართველო მოიგებსო? თქვენს პირს შაქარი, ჰერ კლაუს! ღმერთმა ქნას, რომ არა მხოლოდ მომდევნო, არამედ სხვა მრავალი თამაში მოიგოს საქართველომ თქვენთან ერთად!

ზემოთ ნახსენები ნორმალური თამაში კი მთავარს გვიბრუნებს — მგონი, „ბალეშჩიკობის“ სული და მუღამი ბრუნდება თბილისში! ჩვენს მაგალითზე გეტყვით. თამაშს გემრიელ ლუდხანაში ვუყურებდით და უგემრიელეს ჩეხურ ლუდს ვწრუპავდით. ამ ლუდხანაში, როგორც წესი, ფეხბურთის დიდად არ წყალობენ (მახსოვს, მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალზე იყო გულშემატკივართა ანშლაგი). ახლა კი, დაახლოებით რვის ნახევრიდან დაიწყო... თითქმის ყველა ფეხბურთზე გადართვას ითხოვდა და, ცხადია, მიაღწიეს კიდეც საწადელს — 2 საათის განმავლობაში ისეთი ღრიანცელი იდგა, თავი „ჰაიბერზე“ და „ენფილდზე“ თუ არა, „დინამო“ — „ვერდერის“ 80-იანებში ჩატარებულ ჯახზე მაინც მეგონა. ჩემი ძმაკაცი კოტეც კი აგვყვა, მიუხედავად იმისა, რომ მას ფეხბურთი ისევე აინტერესებს, როგორც მე კვანტური ფიზიკა ან ძენ-ბუდიზმი!

WEB-ოსტატი ბუარა

ბადრი კეთილაძის ფოტო

დღე უკანასკნელი, დღე პირველი

ამერმა საეჭვოპო მზადება დაიწყო

საქართველოს თასის მფლობელმა თბილისის „ამერმა“ მომავალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. პირველ ვარჯიშზე გიორგი ჩიხრაძეს დიდად არ დაუტვირთავს შეგირდები, საღამოს კი გუნდი სრული შემადგენლობით შიომღვიმეს მონასტერს ესტუმრა — ფინალის წინ ხომ ამერელებმა სწორედ შიომღვიმე მოილოცეს და იქაური ბერებისგან დალოცვა მიიღეს.

„ამერი“ 3 ივნისიდან ბაკურიანში ათდღიან შეკრებაზე წავა, ამის შემდეგ დაახლოებით ერთ კვირას თბილისში დაჭყოფს, ივნისის მესამე დეკადაში კი მორიგი შეკრების დრო დგება — კლუბის ხელმძღვანელობამ შეკრებისთვის ამჯერად ჩეხეთი შეარჩია. ორი კვირის განმავლობაში საქართველოს თასის მფლობელები პრაღის მახლობლად დაბინავდებიან და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გამართავენ. სავარაუდო სპარინგ-პარტნიორებთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

ჩეხეთიდან „ამერი“ ივლისის დასაწყისში დაბრუნდება და მზადების დასკვნით ეტაპს აქ გაივლის. ამასობაში უკვე გარკვეული იქნება უეფას თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო რაუნდის მეტოქეც, რომელთანაც პირველ შეხვედრას „ამერი“ 13 ივლისს გამართავს.

გიორგი ნოზაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

მოედანზე ცივსისხლიანი და ტრიბუნაზე თითებსისხლიანი

საქართველოს თასი, ტრავმები, კაპიტნის სამკლავური, „მკვდარი ბურთები“, უხეში შეცდომები, 21-წლამდელთა ნაკრებში თამაში — ასეთი მრავალფეროვანი სეზონი ჰქონდა თბილისის „ამერის“ 22 წლის მეკარე ლადო ნადირაშვილს. ჩემპიონატის დაწყების წინ ლადო გლდანელთა მთავარმეკარედ არ ითვლებოდა, მაგრამ დრო დადგა, გიორგი ჩიხრაძემ კარი ანდო და მანაც რამდენიმე შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა. ნადირაშვილს გული სწყდება, რომ „ამერისთვის“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გაუცდა — ტრავმის გამო მან 13 მაისს „ზესტაფონთან“ მოგებას ტრიბუნიდან უყურა...

ბადრი კეთილაძის ფოტო

— ტრიბუნიდან ან სათადარიგოთა სკამიდან უფრო სანერვიულოა თამაშის ყურება?

— რა თქმა უნდა. მინდორზე თამაშში ხარ ჩაბმული და ნერვიულობის დრო არც გრჩება. „ზესტაფონთან“ თამაშისას ტრიბუნაზე ისეთ განცდებში ვიყავი, ვერ გადმოვცემ — უფრო სწორად, ჩემი ხელის თითები გადმოსცემენ: რომ დავხედე, სულ სისხლი მდიოდა, ისე დავიჭამე.

— ამ ეპიზოდში ზურაბ ქვაჩახიამ რომ ბურთი გაუშვა, მე ავიღებდიო — არ გქონია ასეთი მომენტი?

— არა, პირიქით. ქვაჩახიამ რომ ზურაბ იონანიძეს ბურთი აუღო, ისეთს კანი და ბუფონიც იშვიათად ახერხებენ. „ქვაჩი“ ფინალის გმირი გახდა, ხუთივე პენალტზე კუთხე გამოიცნო...

— რა იყო მთავარი, რითაც „ამერმა“ მოიგო?

— საოცარი ერთსულოვნება. ძირითადის ფეხბურთელებიდან დაწყებული, 18 კაცში ვერმოხვედრილებით დამთავრებული, ყველას თვალები გვქონდა ანთებული. ზოგჯერ ხომ არის, რომ ფეხბურთელი განაცხადში ვერ ხვდება და ნაწყენია. აქ კი პირიქით, გამომეტყველებაზე ყველას ეტყობოდა, რომ ქვას გახეთქავდნენ, მოსაგებად თავს გადადებდნენ.

— მატჩამდე „ზესტაფონი“ ფავორიტად ითვლებოდა — ეს თრგუნავდა „ამერს“ თუ პირიქით?

— წამითაც არ გვიფიქრია, რომ „ზესტაფონი“ ფავორიტი იყო. ეგაა, მათ უფრო გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ, ჩემპიონატის ბოლო მატჩები ჩვენზე უკეთ ჩაატარეს და საერთოდაც, ხალხი უფრო „ზესტაფონს“ იცნობდა. „ამერი“ კი, რაც უნდა იყოს, მაინც პირველ სეზონს ატარებდა უმაღლეს ლიგაში. მოკლედ, გამოცდილების მომენტი იყო...

— პირადად შენთვის რომელი იყო სეზონის საუკეთესო თამაში და რომელი უცუდესი?

— საუკეთესო იყო „სიონთან“ თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი, სადაც ტრავმა მივიღე — ბურთის მოგერიებისას კოჭის სახსარი დავიზიანე, სერიოზული თითქოს არაფერი ჩანდა, მაგრამ 40 დღე კი გამიცდა. ყველაზე სუსტად ასევე „სიონთან“ ვითამაშე, ჩემპიონატის პირველ წრეში — ბოლო წუთზე ისეთი ბურთი გავუშვი...

— ყველაზე მეტად რომელმა თავდამსხმელმა გაგაწვალა?

— მართალია, გოლი ვერ გამიტანა, მაგრამ ოთარ მარცვალაძემ პირველ წრეში ყველა გააწამა და მათ შორიც მეც. მთლიანად სეზონში კი ზურაბ იონანიძეს გამოვარჩევდი.

— რამდენიმე მატჩში „ამერის“ კაპიტანიც იყავი, არადა, შენზე უფროსი ფეხბურთელები გუნდში ბევრია...

— ეს გიორგი ჩიხრაძეს უნდა ჰკითხოთ. შესაძლოა, იმიტომ, რომ დიდი ხანია, „ამერში“ ვარ. ალბათ, ლიდერის თვისებებიც დაინახა მწვრთნელმა ჩემში. გამიკვირდა და თან ძალიან გამიხარდა, ამხელა ნდობა რომ გამომიცხადეს.

— ჩვენს ჩემპიონატში რომელ მეკარეს თვლი საუკეთესოდ?

— ალბათ, გრიგოლ ჭანტურიას და ზურაბ ქვაჩახიას.

— ნათქვამია, მეკარე ცივსისხლიანი უნდა იყოსო...

— ადრე უფრო მიჭირდა, მაგრამ ახლა ვეჩვევი გულცივობას. ქვაჩახიაც ხშირად მეუბნებოდა, ასე ძალიან ნუ განიცდი გოლის გაშვებასო — ის ჩემზე გაცილებით გამოცდილია, მე კი რჩევების მოსმენა მიყვარს.

— ასაკის კვალობაზე ძალიან დინჯი და გაწონასწორებული ჩანხარ. ფეხბურთის მიღმა რა გატაცებები გაქვს?

— მიყვარს მხატვრული ლიტერატურა, წიგნებს ხშირად ვკითხულობ. ისე კი, ვერ გეტყვით, სკოლაში ხუთოსანი ვიყავი და ყველა საგანს „ვაბულბულებდი“-მეთქი. ფეხბურთს უჭირავს ჩემი გატაცებების უდიდესი ნაწილი.

— ისევ ფინალს დავუბრუნდეთ. როგორ გგონია, რამდენად დიდი როლი ითამაშა მატჩისწინა რეკლამამ და გულშემატკივრების სტადიონზე მოსვლამ? ფაქტია, საქართველოს კვალობაზე კარგი თამაში იყო...

— ძალიან დიდი როლი ითამაშა. პროფესიონალი ფეხბურთელი უნდა ეჩვეოდეს პუბლიკის წინ თამაშს, აქ კი ზოგჯერ ტრიბუნებზე 10-15 კაცი ზის და იქიდან 7-8 გაგინებს. ძალიან კარგი იქნება, თუ ასეთი რეკლამა ხშირად გაკეთდება. სულ სხვა ატმოსფეროა ზესტაფონში, თელავში, ბორჯომში, ბოლნისში, „ამერის“ სტადიონზე — გიხარია იქ გასვლა და თამაში. აბა, საქართველოს ჩემპიონი რომ ხარ და გულშემატკივარი ვერ გიცნობს, ეს ნორმალურად არ მიმაჩნია.

— ფინალის დასრულებისას, ცხადია, მინდორზე შეუერთდი ზეიმს. რა განცდა გქონდა იმ დროს?

— სიხარულისგან ისეთი გაოცებული ვიყავი, ფეიერვერკიც არ მახსოვს. გიორგი დეკანოსიძემ შამპანური შემასხა თვალებში და გასახდელშიღა მოვეგე გონს. დაცლილი ვიყავი ემოციებისგან.

— 21-წლამდელთა ნაკრებშიც მოასწარი თამაში ალბანეთის ნაკრებთან. როგორ ფიქრობ, იმსახურებ რალაც მინგეს გუნდში გამოძახებას?

— როგორც 1984 წელს დაბადებული, ჩემთვის შეიძლება ბოლო შესარჩევი ციკლი იყოს ამ ნაკრებში. გადასარევი სეზონი არ მქონია, მაგრამ ცუდადაც არ მითამაშია და ვნახოთ... ახლა ნაკრებში ისეთი მწვრთნელები გვყავს, მათ კვალიფიკაციაში ეჭვს ვერავინ შეიტანს. კარგად ვითამაშებ? დამიფასდება.

ილია ნანოგაშვილი

ფკ ამერის ბავშვთა სკოლა აცხადებს 1992-1993 წლებში დაბადებულ პერსპექტიულ ბავშვთა მიღებას ჭაბუკთა ლიგაში სათამაშოდ.

მიღება იწარმოებს შერჩევით, ყოველდღე 15-დან 18 საათამდე; შაბათ-კვირას: 10-დან 12 საათამდე.

მისამართი: გლდანის მასივი, თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევი).

ტელ.: 899 13 51 02; 57 14 11

ლონდონიდან ბევერენში მიმავალი შარო

არსენ ვენგერი

ლონდონის „არსენალი“ შეიძლება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპიდან მოკვეთონ და გვარიანი ფულადი ჯარიმაც გამოუწერონ. „მეთოფეები“ საშარო საქმეში აღმოჩნდნენ გარეულები, ეს ამბავი კი ბელგიურმა პოლიციამ გამოჩხრიკა.

„არსენალს“ ფიფას წესების დარღვევა ბრალდება. როგორც გაირკვა, ლონდონური კლუბი 2001 წელს ბელგიურ „ბევერენს“ 1 მილიონი ევროთი დაეხმარა, სანაცვლოდ კი ამ გუნდის მართვის არალეგალური უფლება მიიღო.

„მეთოფეთა“ შეფი დევიდ დინი და მწვრთნელი არსენ ვენგერი არ უარყოფენ ფულის გადახდას, მაგრამ ამტკიცებენ, რომ „ბევერენის“ ადმინისტრაციულ საქმეებში არ ჩარეულან და არც მართვა უცდიათ.

2001-ში „ბევერენს“ ფინანსურად გაუჭირდა. გაკოტრების პირას იყო და შეიქმნა კონსორციუმი „გოლი“, რომელმაც კლუბის დასახმარებლად ფული შეაგროვა. შეგროვებულში კი 1 მილიონი ევრო „არსენალის“ იყო.

კონსორციუმის თავმჯდომარეა ჟანმარკ გილუ, ყოფილი ფრანგი ფეხბურთელი და არსენ ვენგერის ძმაკაცი. მისი დახმარებით შექმნა „არსენალმა“ კოტ დივუარში აკადემია, საიდანაც ნიჭიერი ფეხბურთელები მიჰყავს. შეგახსენებთ, რომ კოლო ტურე და ემანუელ ებუ, სწორედ ამ აკადემიიდან მოხვდნენ „არსენალში“,

გასულ სეზონში, გარიგებული მატჩების გამო ბელგიაში ატეხილ სკანდალში „ბევერენიც“ გაერია და პოლიცია ძიების შედეგად მიადგა „არსენალს“. თავიდან ეჭვი ჰქონდათ, რომ ამ ამბავში რუსული მაფიაც იყო გარეული და კონსორციუმის დახმარებით ფულს ათეთრებდა, მაგრამ ეს ვერსია გამოირიცხა.

ფიფას პრეზიდენტმა „არსენალს“ შეუთვალა, რომ ახსნა-განმარტებითი მოხსენება დაწერონ და ფიფას გაუგზავნონ. ამის შემდეგ გაარჩევენ „არენალის“ საქმეს და თუ დასასჯელია, სათანადოდ დასჯიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუფონი მალტურ კანტორაში იპოვეს

სკანდალი იტალიურ ფეხბურთში გრძელდება და სულ მეტად და მეტად ეხება „სკუადრა ძურას“ იმ ფეხბურთელებს, რომელთაც რამდენიმე დღეში მსოფლიოს ჩემპიონატი ეწყებათ. ამჯერად ჯანლუიჯი ბუფონზე უნდა მოგახსენოთ. „იუვენტუსისა“ და ეროვნული გუნდის მეკარეს ნიძლავების სიყვარული და ტოტალიზატორში, როგორც ამბობენ, 10 ათასი ევროს დადება შეიძლება ძვირად დაუსვან, რადგან აპენინებზე ფეხბურთელებს ტოტალიზატორში თამაში ეკრძალებათ. ამბობენ, რომ გამომძიებლები ბუფონის საქმეს დიდი რუდუნებით ჩაუსხდნენ და აღმოაჩინეს, რომ მეკარე ნიძლავებს მალტაზე რეგისტრირებულ ტოტალიზატორებთან ინტერნეტით დებდა. ასახელებენ სხვა ქვეყნების სანიძლაო კანტორებსაც, მათ შორის ცნობილ ევრობეთს, თუმცა როგორც ჩანს, ყველაზე ნაღდი ის აქვთ, რომ მეკარე 16 იანვარს 10 ათასიან ფსონს გავიდა. ადრეც გვითქვამს, რომ საბანკო გადარიცხვა-გადმორიცხვების მიყოლამ ბუფონის გარდა თამაშში ანტონიო კიმენტი, ენცო მარესკა და მარკ იულიანო ამხილა.

დავუბრუნდეთ ბუფონს: 16 იანვარს „იუვეს“ გოლკიპერს ანგარიშიზე 10 ათასი დააკლდა და იმავე დღეს ასეთი თანხა მავან პარმელ ბუქმეიქერ პაოლო პელიცონის დაემატა. არის ეჭვი, რომ ამ საქმეში შუამავლის როლი ბუფონის ძმაკაცს ალესანდრო ბრინიოლის ჰქონდა ნაკისრი. ამ ბრინიოლის, თურმე, „პარმალატის“ ნაწარმის მაღაზია აქვს, რაც, რასაკვირველია ლეგალური ბიზნესია, რამეთუ რძის ნაწარმით ვაჭრობა ჯერ არავის აუკრძალავს. ბუფონი, ბუნებრივია ყველაფერს უარჰყოფს, მაგრამ ამბობენ, რომ მეკარეს დადებული აქვს ფსონი ჩემპიონთა ლიგაში მისი „იუვენტუსის“ „იურგორდენთან“ 2:2-ზე, რაც 2004-ში მოხდა და იმავე წლის მატჩზე „იუვე“ — „პალერმო“, რომელიც ასევე ფრედ, 1:1 დამთავრდა.

ამბობენ, რომ პაოლო პელიცონის ალესანდრო ბრინიოლისგან მილიონები აქვს მიღებული, რომელთაგან ჯამში სულ მცირე ორი, ბუფონის ჯიბიდან ამოსული უნდა იყოს.

პაპუნა კედია

კიდევ სცადეთ

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ 9 მილიონი გირვანქა შესთავაზა „მარსელს“ ფრანკ რიბერის სანაცვლოდ, მაგრამ უარი მიიღო. მიუხედავად ამისა, მანჩესტერელები მაინც ეცდებიან ფრანგი ნახევარმცველის ყიდვას და შეიძლება სამოთხჯერ მეტი თანხის გადახდა მოუწიოთ.

რიბერი საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს. მის გაყიდვას კლუბის პატრონი პაპე დიუფი არ ჩქარობს. თავად მოთამაშესაც სურდა გუნდში დარჩენა, სანამ მწვრთნელი ჟან ფერნანდესი იყო, მაგრამ ფერნანდესი წავიდა და რიბერიც კლუბის გამოცვლას ლამობს.

23 წლის ნახევარმცველი „ლიონსაც“ უნდა და ლიონელთა პრეზიდენტი ჟან მიშელ ოლა ესაუბრა კიდეც დიუფს. „მანჩესტერმა“ უფრო მეტი შემოგვთავაზა, ვიდრე „ლიონმა“ — განაცხადა დიუფმა — თუმც ორივეს ერთნაირად ვუპასუხე. მათ შეუძლიათ, კიდევ სცადონ რიბერის შეძენა, მაგრამ ძალიან ძვირი დაუჯდებათ“.

„მარსელის“ პატრონის თქმით, ფეხბურთელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა, თუ მის სანაცვლოდ 35 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. დიუფმა ლიონელებს შეუთვალა, სილვენ ვილტორდს, ჟუნინიო პერნამბუკანოს და კრისს თუ მომცემთ, რიბერის დაგითმობთო. მარსელელს გემოვნება არ დაეწუნება. მან ლიონის სამი საუკეთესო ფეხბურთელი მოითხოვა.

ფრანკ რიბერი ამჟამად ნაკრებთან ერთად სამუნდიალოდ ემზადება. ფრანგულმა მედიამ იგი „ახალ ზიდანად“ მონათლა. 23 წლის ნახევარმცველი ტექნიკით, პასით და მოედნის ხედვით გამოირჩევა. ნახევარდაცვის ცენტრშიც და ორივე ფლანგზე თამაში შეუძლია.

ბურთმა რუნი გაიცნო



ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტან გარი ნევილს უნგრეთთან მატჩში მიღებულმა ტრავმამ ეროვნული ნაკრების რამდენიმე ვარჯიში გამოატოვებინა. თუმცა ინგლისელთა თავკაც სვენ გორან ერიკსონის თანაშემწესა და მომავალში მის შემცვლელ სტივ მაკლარენს სჯერა, რომ სერიოზული არაფერია.

„მას მცირე ტრავმა აქვს და ექიმებიც გვაიმედებენ. ვფიქრობთ, რამდენიმედღიანი დასვენება და სარეაბილიტაციო კურსი დადებით შედეგს გამოიღებს“ — აღნიშნა მაკლარენმა.

იმედიანადაა თავად ფეხბურთელიც, რომელმაც 2002 წლის მუნდიალი იმიტომ გამოტოვა, რომ ფეხი მოიტეხა. და იგივეს გამეორება ნამდვილად არ უნდა.

ამასობაში ბურთით ერთად ვარჯიში და სირბილი დაიწყო უეინ რუნიმ. 7 ივნისს გაირკვევა, ითამაშებს თუ ვერა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

სტივ მაკლარენი: „ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ჯერ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. იგი ორშაბათს შემოგვიერთდება, ოთხშაბათს კი გასინჯავენ და იმედია, დადებით პასუხს მივიღებთ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ცხადია, თავად რუნი თავს არ ზოგავს და მუნდიალზე თამაში ძალიან უნდა“.

გიორგი კაკაბაძე

გალიანიმ თითი ტურინისკენ გაიშვირა

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა და „ლეგა კალჩოს“ პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კიდევ ერთხელ უარყო „როსონერის“ მონაწილეობა ჩაწყობილ მატჩებში. ამბობენ, 2004-05 წლების სეზონში „მილანი“ — „უდინეზეს“ ფრედ (1:1) დამთავრებული მატჩი ჩაწყობილი იყო. ამ შედეგმა მაშინ უდინელებს ჩემპიონთა ლიგის საგზური მოუტანა. გაზეთებში კი „შავ-წითლების“ ერთ-ერთი წარმომადგენლის, ლეონარდო მეანისა და „უდინეზეს“ მავანი ჩინოვნიკის სატელეფონო საუბრის სტენოგრამა დაიბეჭდა.

„ამ საუბრის შესახებ არაფერი ვიცი. ბავშვისთვისაც გასაგებია, რომ ეს ყველაფერი ტურინიდან მოდის. მათ სურთ, „მილანიც“ გასვარონ და ისე გამოიყვანონ, თითქოს, „მილანისა“ და „იუვენტუსის“ სისტემა ერთი და იგივეა. არადა, ყველაფერი ცუდი „ბებერი ქალბატონის“ მაქინაციებიდან მოდის და ამან ყველა დააზიანა“ — თქვა გალიანიმ.

ერთი სიტყვით, ბრძოლა „იუვენტუსსა“ და „მილანს“ შორის გრძელდება. გალიანიმ ჟურნალისტებს და ზოგადად ყველას ურჩია სანამ რამეს იტყვიან, „მილანის“ ტიტულები გადაითვალონ.

ადრიანო გალიანი: „დღეს დილით გაზეთები წავიკითხე და გამეცინა. ბოლო 10 წელიწადში ევროპაში დიდი წარმატებით ვითამაშეთ და რეიტინგებში მუდამ მოწინავე პოზიციებზე ვართ, მაგრამ მხოლოდ ორი სკუდეტო მოვიგეთ. როგორ ფიქრობთ, ამ ბინძურ მაქინაციებში რომ ვიყოთ გარეულნი, იტალიის ჩემპიონატს უფრო მეტჯერ ვერ მოვიგებდით?“

გიორგი კაკაბაძე

დროშას დავადგი პროფესიონალიზმი

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ლუის არაგონესი „რადიო მარკას“ ჟურნალისტს ეროვნულ გუნდზე და დამდეგ მუნდიალზე გაესაუბრა. მხცოვანმა „ელ საბიომ“ (არაგონესს პირინეებზე „მეცნიერს“ ეძახიან) ნაკრების კაპიტნის, რაულის ღირსებებზე ილაპარაკა და აღნიშნა, რომ კრიტიკოსების გულის გასახეთქად „რეალის“ ლეგენდა მსოფლიოს პირველობაზე შესანიშნავად ითამაშებს. ამას გარდა, ინტერვიუში დონ ლუისს იმის ახსნაც მოუწია, თუ რატომ მიიწვიეს ნაკრებში ტრავმირებული დელ ორნოს ნაცვლად წარმოშობით არგენტინელი პერნია და არა მაგალითად, ესპანელი კაპდევილა

— დელ ორნო მაინცდამაინც პერნიათი რატომ ჩაანაცვლეთ?

— იმიტომ, რომ მარიანო პერნიას სათამაშო სტილი დელ ორნოსას ყველაზე მეტად წააგავს. განაპირა მცველებმა შეტევაშიც უნდა მიიღონ მონაწილეობა და პერნიას ყველა მონაცემი აქვს საამისოდ. ასიერ დელ ორნოს ამბავი კი ძალიან მადარდებს. ვიცი, საშინლად განიცდის... მისთვის ახლა მთავარი დასვენება და ტრავმის მორჩენაა, რათა კარიერა არ გაუმრუდდეს. პერნიას შესანიშნავად ვიცნობ. ამ ბიჭის შეძენა ჯერ კიდევ მაშინ მინდოდა, როცა „მალიორკას“ მწვრთნელი ვიყავი. საერთო მეგობრებიც გვყავს და ნაკრებში გამოძახების ამბავი „ატლეტიკოს“ მეკარის, ლეო ფრანკოს მეშვეობით შევატყობინე. ვიცი, ამ ფეხბურთელს ესპანეთის სახელით მუნდიალზე მონაწილეობა ახარებს და ჩვენც მარიანოს ალალად ვეგებებით...

— ხომ შეიძლებოდა, ვაკანტურ ადგილზე ვინმე ესპანელი მოთამაშე მოგეწვიათ?

— პერნია რა, ესპანელი არ არის? საერთოდაც, პროფესიონალიზმი დროშაზე მაღლა დგას. მაგალითად, კუბალა ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ესპანეთის ნაკრებებში თამაშობდა. ასევე იყვნენ რუბენ კანო, დონატო... მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ და პერნიას, რახან აღრე არგენტინელი იყო, ესპანეთის ეროვნულ გუნდში ბურთაობას ვერ ავუკრძალავ.

— კაპდევილას უკვე ესაუბრეთ?

— არა. ჯერ საამისო დრო არ არის. საერთო მეგობრებისგან ვიცი, თავს როგორ გრძნობს. უახლოეს ხანში კაპდევილასთან გულახდილი საუბარი მექნება.

— დელ ორნოს პერნიათი შეცვლა ფეხბურთელებს როგორ შეატყობინეთ?

— პირველად გუნდის კაპიტან რაულს და შემდეგ ნაკრების ყველა წევრს ვუთხარი. ვთხოვე, პერნია კეთილგანწყობით მიეღოთ, ისევე როგორც თავად ისინი მიიღეს. ეჭვი არ მეპარება, რომ ბიჭები პრობლემებს არ შემიქმნიან.

— ამბობენ, რომ გამალებით ცდილობთ, რაულს ნაკრების ძირითადში ადგილი გამოუძებნოთ. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— რაულს ყველაზე უკეთ სტატისტიკა იცავს. მისთვის თავდამსხმელების უკან თამაში ახალი ამბავი არ გახლავთ. ჩვენს კაპიტანს ბურთი სჭირდება, რათა თავი უკეთ იგრძნოს. ასევეა ლუის გარსიაც, მეორე ძლიერი მოიერიშე. ნაკრებში ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან. ბოლო დროს ხალხი რაულს მეტისმეტად უსამართლოდ აკრიტიკებს და არ შემიძლია, მის დასაცავად ხმა არ ამოვიღო.

— მართლაც, ბევრი თვლის, რომ გონსალეს ბლანკო კრიზისშია და მისი კარიერაც დასასრულს უახლოვდება...

— რაული მუნდიალზე ღირსეულად მონაწილეობისთვის არც ისე ბებერია და არც მისი კარიერა უახლოვდება დასასრულს. დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლით კრიტიკოსებს დაადუმებს. თუმცა ამისთვის მან ჯერ ნაკრებში კონკურენცია უნდა დაძლიოს. რაულს საუკეთესო სეზონი ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ სერბეთთან მის თამაშს ვერაფერი დამავიწყებს — გოლი გაიტანა და კიდევ ბევრჯერ შეეძლო ბალკანელების გამწარება... ამიტომაც ვამბობ, ურწმუნო თომებს პირს აუკრავს-მეთქი.

— რაც დრო გადის, „ბერნაბეუს“ ვარსკვლავი სანაკრებო განლაგებაში სულ უფრო უკან იწევს. უკვე შეიძლება ითქვას, რომ რაული ნახევარმცველია?

— არა. ის უფრო უკან დაწეული მოიერიშეა, ან ცენტრალური თავდამსხმელი. ფერენც პუშკაში თამაშობდა ამ სტილში — ცენტრში მოწინააღმდეგისთვის ბურთის ართმევა, გადამწყვეტი საგოლე პასი, თამაშის ელვისებურად სწორად წაკითხვა — რაულიც იგივეს აკეთებს, რისთვისაც თავის დროზე უნგრელს ეთაყვანებოდნენ. რუსეთთან ამხანაგურ მატჩში კაპიტანმა დროულად მოიგდო ბურთი და სულ მცირე დააკლდა გოლის გატანამდე.

— ნაკრების ფეხბურთელები ინტერვიუებში მსოფლიოს თასის მოგებაზე სერიოზულად მსჯელობენ. ჩვენთან ერთ-ერთი შეხვედრისას დარწმუნებით თქვით, გერმანიაში მარტო მოსაგებად მივდივართო. მართლა შეუძლია ესპანეთის ეროვნულ გუნდს მუნდიალზე პირველობა?

— თუ შესაძლებლობათა მაქსიმუმს გამოვავლენთ, ჩვენი მომგები გუნდი არ არსებობს... და თუ მოედანზე მთლიანად ვერ დავიხარჯეთ, მოსალოდნელია, ყველასთან დავმარცხდეთ...

— ხავი როგორ ფორმაშია?

— ჩვენთვის ხავი მნიშვნელოვანი მოთამაშე იქნება მუნდიალზე. რთული ტრავმა ახლახან მოირჩინა, თუმცა ეს ხელს არ შეუშლის.

— ნაკრებში დავიდ ვილია თავდასხმის მარცხენა ფლანგზე რატომ გადაისროლეთ?

— იგი ცენტრფორვარდი არ არის. მახსოვს, როცა ხიხონის „სპორტინგში“ თამაშობდა, „ატლეტიკოსთან“ მატჩში ვილიამ მარჯვენა ფლანგზე იბურთავა და მეტოქეს დიდი თავსატეხი გაუჩინა. ცენტრალური თავდამსხმელები ფერნანდო ტორესი და მორიენტესი არიან. „ელ ნინიო“, მერწმუნეთ, მოწინააღმდეგის მცველებს სისხლს გაუშრობს.

შვიდიანი ბეჭებზე

ანდრეი შევჩენკო „ჩელსიში“ საყვარელი შვიდნომრიანი მაისურით ითამაშებს. ეს ლონდონელთა თავკაცმა ჟოზე მაურინიუმ დაადასტურა. აქამდე 7 ნომერი პორტუგალიელი მანიშე იყო. „შევას“ ეს მაისურა ეცვა „მილანშიც“ და აცვია ეროვნულ ნაკრებშიც. ციფრი 7 მისი ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართშიც ურევია **WWW.SHEVA7.COM**

უკრაინელის „ჩელსიში“ გადასვლაზე აზრი გამოთქვეს ლონდონელთა ლიდერებმა ფრენკ ლამპარდმა და ჯო კოულმა, რომლებიც ამ ტრანსფერით ძალიან გახარებულნი არიან.

„იგი ბრწყინვალე ფეხბურთელია. შევჩენკო საუკეთესო ფორვარდია მსოფლიოში ბოლო 5-7 წლის მანძილზე. მისი თამაშით ყოველთვის სიამოვნებას ვიღებდი. გოლის გატანა არაფრისგან შეუძლია. ანდრეი ჩვენ გუნდს ძალიან გააძლიერებს, რაც, ცხადია, მახარებს“ — აღნიშნა ლამპარდმა.

ჯო კოული: „ერთი სული მაქვს, მასთან ერთად მინდორზე როდის გავალ და რამდენიმე საგოლე პასს გავუკეთებ. შევჩენკოს ყიდვა სწორი და წინ გადადგმული ნაბიჯია. იგი, ისევე როგორც ბალაკი, ძალიან გაგვაძლიერებს. „ჩელსიში“ ორი დიდი ფეხბურთელი მოვიდა თავიანთი კარიერის პიკზე, რაც მრავლისმეტყველია“.

გიორგი კაკაბაძე

ბრაზილიის ნაკრები, რომელმაც 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, პენტაკამპეონთა დღევანდელ შემადგენლობაზე უკეთესიაო, ამბობს ლეგენდარული პელე. „მეფემ“ ლონდონურ „თაიმსთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ის და მისი კომპანიეროები (1970-ს ოქროს ნაკრები, რომელსაც მრავალნი ბრაზილიის ყველა დროის საუკეთესო ნაკრებად მიიჩნევენ) რონალდინიოს და მის ამხანაგებს „გაჭირვებით“, მაგრამ მაინც დაამარცხებდნენ.

„ჩვენი შეტევა თანამედროვე ნაკრებზე უფრო ორგანიზებული იყო. თუმცა რონალდო თუ საუკეთესო ფორმაში იქნებოდა, 1970 წლის ვარსკვლავების გუნდში თამაშს შეძლებდა, ისევე, როგორც რონალდინიო და კაკა, შეიძლება ემერსონიც“ — თქვა პელემ. მსოფლიოს ფეხბურთის ლეგენდამ განაცხადა, რომ მიუხედავად გავრცელებული აზრისა, 1970 წლის ნაკრები იერიშზე არ გახლდათ კონცენტრირებული. „ჩვენ დაცვაში თამაშიც ვიცოდით. როცა ბურთს ვკარგავდით, წინ მარტო ჟაირზინიო რჩებოდა. ბრაზილიის მაშინდელი გუნდის შედეგიანობას ბევრი შეჰყავს შეცდომაში, მაგრამ საერთო ჯამში მაინც თანამედროვე ფეხბურთს ვთამაშობდით“ — იხსენებს პელე. „თაიმსთან“ მასლაათის დასასრულს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა უცნაურობა დაახეთქა (სჩვევია ასე): „ბრაზილიაში დღეს ამბობენ, რომ 2006-ის მუნდიალზე „ჯადოსნური კვარტეტი“ (რონალდინიოს, რონალდოს, კაკასა და ადრიანოს შემტევი ოთხეული) გვასახელებს. ნამდვილ ჯადოსნურ კვარტეტს კაფუ, რობერტო კარლოსი, ლუსიო და ჟუანი ქმნიან...“

პელემ ჯადოსნური კვარტეტი დაშალა

ლადო ხომერიკი

დიკ ადვოკაატი

მარკო ვან ბასტენი



გუს ჰიდინკი



ლეო ბეენჰაკერი

ჰოლანდია 4:5 ბრაზილია

რაზე შეიძლება იოცნებოს ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა? ალბათ, დიდი რინუს მიხელსის შედეგის გაუმჯობესებაზე, ეს კი 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილის მოპოვება გახლავთ. ის ამბავიც გერმანიაში იყო.

თეორიულად, ეს სწორედ ის ოცნებაა, რომელიც ვან ბასტენის თანამემამულეების, ლეო ბეენჰაკერის, გუს ჰიდინკისა და დიკ ადვოკაატის გულებსაც ელამუნება, მაგრამ რად უნდა ლაპარაკი, რომ ამ ხალხისგან ყველაზე მეტი შანსი „ორანიეს" თავკაცს აქვს. რატომ? სწორედ იმიტომ, რომ ის ჰოლანდიის ნაკრებს უდგას სათავეში, ბეენჰაკერი კი ტრინიდადისა და ტობაგოს, ჰიდინკი ავსტრალიის, ხოლო ადვოკაატი სამხრეთ კორეისას.

მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე „გაშვებული" მწვრთნელების რაოდენობით ჰოლანდია მაინც მეორე ადგილზეა. პირველზეა ბრაზილია. ხუთგზის ჩემპიონებს ხუთი კაცი ეყოლებათ გერმანიაში: კარლოს ალბერტო პარეირა, რომელიც საკუთრივ პენტაკამპეონებს წვრთნის, პორტუგალიის ნაკრების თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი, ალეშანდრე გიმარაეში კოსტა რიკიდან, „იაპონელი" ზიკო და მარკოს პაკეტა საუდის არაბეთისა.

ჩამოთვლილ ბრაზილიელებსა და ჰოლანდიელებს შორის განსხვავება ის არის, რომ ჰოლანდიელთაგან უკლებლივ ყველა ყოფილა თავისი სამშობლოს ეროვნული გუნდის წინამძღოლი, ბრაზილიელთაგან კი მხოლოდ სკოლარი და პარეირა, ოღონდ, ორივე მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

ბეენჰაკერი „ორანიეს" 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხელმძღვანელობდა, ადვოკაატი 1992-94 წლებში იყო მთავარი ნარინჯისფერი და აშშ-ში მეოთხედფინალში გავიდა, მერე ჰიდინკმა სწორედ ადვოკაატი შეცვალა და 1998 წელს ნახევარფინალამდე მივიდა, ხოლო 2002-04 წლები ისევ ადვოკაატის შეფობის ეპოქა გახლდათ.

ახლა კი საქმეს სათავეში 42 წლის მარკო ვან ბასტენი უდგას და ზურგს დაუმარცხებელი შესარჩევი ციკლი უმაგრებს — ჯგუფში, რომელშიც იყვნენ რუმინეთი და ჩეხეთი, ჰოლანდიამ 12 თამაშიდან 10 მოიგო. სხვათა შორის, ვან ბასტენმა 1990 წელს ანუ ბეენჰაკერის დროს ითამაშა მუნდიალზე და მაინცა და მაინც კარგი მოგონებები ვერ გამოიყოლა.

ბევრს, ალბათ, ეხსომება 1988 წლის ევროპის ჩემპიონები რა დიდი იმედით ჩავიდნენ იტალიაში. იმედის საბაბი ნამდვილად ჰქონდა „ორანიეს" — სწორედ მაშინ თამაშობდნენ უკვე ნახსენები ვან ბასტენი, ფრანკ რაიკაარდი და რუუდ გულიტი, მაგრამ ვაგლახ, ჯგუფში სამი ფრის შემდეგ, „სან სიროზე", ჰოლანდიამ გერმანიასთან წააგო 1:2 და ეს თამაში მეხსიერებას, რაიკარდმა გერმანელ რუდი ფიოლერს რომ შეაფურთხა იმით შემორჩა...

თექვსმეტი წლის შემდეგ მუნდიალზეა ბეენჰაკერიც — ის ტრინიდადსა და ტობაგოს ისტორიაში პირველ ფინალურ ტურნირზე მიუძღვის და ამბობს, რომ დღეს ის უფრო ვესტ-ინდოელია ვიდრე ჰოლანდიელი.

ამ დღეებში მიცემულ ინტერვიუში 63 წლის მწვრთნელმა თქვა: „ლათინური ამერიკის ცხოვრების წესი ძალიან მიყვარს. მექსიკაში რომ ვიყავი პირად და პროფესიულ სამოთხეში მეგონა თავი".

ჟურნალისტები ხუმრობენ, რომ ერთადერთი, რაც დღეს ლეო ბეენჰაკერს გუნებას უფუჭებს, ის არის, რომ იგი როტერდამშია დაბადებული და არა რიოში.

ადვოკაატი კი კორეასთან ერთად მოიწევს ევროპისკენ და ვინ იცის, რას იმედოვნებს, მაგრამ ბევრს სერიოზული ეჭვი აქვს, რომ ის აზიელებს მისი თანამემამულის, გუს ჰიდინკის ოთხი წლის წინანდელ შედეგს ანუ ნახევარფინალს ვერ გაამეორებინებს.

ჰიდინკისთვის ეს ჩემპიონატი ზედიზედ მესამეა — როგორც გითხარით, 1998 წელს მან ჰოლანდია გაიყვანა ნახევარფინალში, 2002-ში იგივე გააკეთებინა კორეას და ახლა ავსტრალიით თვით ბრაზილიას „ემუქრება". ისე, მართლა, რამდენ ადგილას მუშაობს ეს კაცი? ავსტრალიელთა პარალელურად ის ჰოლანდიაში „ეინდჰოვენს" წვრთნიდა და ჩემპიონი გახადა, ხოლო ყველაფერთან ერთად რუსეთის ნაკრების ახალი მწვრთნელიცაა....

პაპუნა კედია

ბენიტესს ოთხი გადაუთვალეს

ინგლისურმა „ლივერპულმა" რაფაელ ბენიტესთან ოფიციალურად გაახანგრძლივა კონტრაქტი. ესპანელი „ენფილდზე" 2010 წლამდე დარჩება. ეს გარიგება თითქმის ერთი წლის წინ უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ მაშინ მხარეებმა გარკვეული დეტალები ვერ შეათანხმეს.

„ვალენსიას" ყოფილი მთავარი მწვრთნელის მუშაობით მერსისაიდელები კმაყოფილნი არიან. მიუხედავად იმისა, რომ ბენიტესმა „ლივერთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა, ამბობენ, მადრიდის „რეალი" მის ხელში ჩაგდებაზე ისევ ფიქრობსო. შესაძლოა, „სამეფო კლუბი" ბენიტესს ახალი პრეზიდენტის არჩევის მერე მიუბრუნდეს. თუმცა ახლა „სანტიაგო ბერნაბეუზე" მისი გადაბარგება კიდევ უფრო ნაკლებად სავარაუდოა.

რაფაელ ბენიტესი: „ძალიან მიხარია, რომ ახალ კონტრაქტზე შეთანხმება შევძელით. ეს უფრო ადრეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ მოლაპარაკება ცოტა გაჯანჯღლდა. „ლივერპულში" ძალიან ბედნიერი ვარ და იმედია, მომავალი სეზონი ჩვენთვის უფრო წარმატებული იქნება".

კოკი კანდელაკი

ფერერი ჭირს არ გაწვრთნის



„ბეტისი" ლორენცო სერა ფერერმა დატოვა. „გუნდიდან გულდაწყვეტილი მივდივარ, თუმცა არა ნაწყენი. „ბეტისის" თავკაცობასთან კონფლიქტი არ მქონია, უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე კლუბში სხვა მწვრთნელის მოსვლა იყო საჭირო" — აღნიშნა სერამ პრესკონფერენციაზე.

ლორენცო სერა ფერერის კონტრაქტს ყავლი 30 ივნისს გასდის. ესპანური პრიმერას ერთ-ერთმა ცნობილმა სპეციალისტმა სამწვრთნელო კარიერა „მალიორკაში" დაიწყო, თუმცა მისი მთავარი მიღწევები მაინც „ბეტისს" უკავშირდება. სერამ სევილიური გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა და ესპანური კოპა დელ რეიც მოაგებინა. იგი ადრე „ბარსელონას" მწვრთნელიც გახლდათ, თუმცა 2001 წლის 22 აპრილს, პრიმერადივიზიონში „ოსასუნასთან" მარცხის შემდეგ, კატალონიური გრანდის თავკაცობიდან მოხსნეს.

„რუის დე ლოპერაზე" გატარებული შესანიშნავი წლებისთვის ფეხბურთელებს, გუნდის უფროსობას და ინჩასებს მადლობას ვუხდი. მათი შემწეობით მრავალი რთული პრობლემა დავძლიე" — აღნიშნა 56 წლის მწვრთნელმა მედიასთან საუბარში. პრესკონფერენციის ბოლოს კი სერამ ისიც თქვა, მომავალ სეზონში შეიძლება ნებისმიერი ესპანური გუნდის მიწვევაზე დავთანხმდე, გარდა „სევილიასიო". თანაქალაქელი „სევილია" ხომ ბეტისელებს ჭირივით ეზიზღებათ.

ლადო ხომერიკი

მიკოლი სატრანსფერო მაცივარში

ფაბრიციო მიკოლი ახალ გუნდს ეძებს. „იუვენტუსის" ფორვარდმა გასული სეზონი „ბენფიკაში" იჯარის წესით გაატარა და არცთუ ურიგოდ. ელოდნენ, რომ ლისაბონელები მის კონტრაქტს ბოლომდე გამოისყიდიდნენ, რაც 5-6 მილიონი ევრო დაუჯდებოდათ, მაგრამ 31 მაისს ლისაბონელებისა და ტურინელების შეხვედრა უშედეგოდ დასრულდა.

ძნელად სავარაუდოა, მიკოლი „იუვენტუსში" დარჩეს, რადგან იქ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. მისი შეძენის სურვილი სერია A-ს რამდენიმე კლუბს სურს. ეპატიჟებიან ინგლისში და ესპანეთშიც. ფეხბურთელის აგენტი ფრანჩესკო კალიანდროს თქმით, საჩქარო არაფერია.

„იტალიაში ახლა სატრანსფერო ბაზარი გაყინულია, მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებით ატეხილი სკანდალის გამო. თუმცა ბევრი დრო გვაქვს და არსად გვეჩქარება. ჩემს კლიენტს მსურველები ნამდვილად ჰყავს და ვეცდები, საუკეთესო ამოვარჩიოთ" — თქვა კალიანდრომ.

კოკი კანდელაკი

მისამართების დამრიგებელი

არის ევროპაში ასეთი გამონათქვამი, მეკარეობისთვის სიგიჟე აუცილებელი არ არის, მაგრამ ძალიან კი გეხმარებაო. ჰოდა, თუ გიჟებზეა ლაპარაკი, სხვებთან ერთად 1980-95 წლებში შვედეთის ნომერ პირველი მეკარე, თომას რაველიც უნდა გავიხსენოთ. ბოლოს და ბოლოს, რაველიმ 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიგო...

— თომას, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი თქვენი კარიერის მწვერვალი იყო?

— დიახ. ეს იყო საოცარი მუშაობის და კარგი მომზადების შედეგი. შვედეთის ნაკრებში 1981 წლიდან ვთამაშობდი და საბოლოოდ, 1994-ში, გუნდთან ერთად მივაღწიე იმას, რასაც ვიმსახურებდით. აშშ-ში შვედეთისთვის ფანტასტიკური ჩემპიონატი ჩატარდა. ჩვენ ფავორიტად არავინ მიგვიჩნევდა და ვფიქრობ ამით ძალიან კარგად ვისარგებლეთ. სწორედ მაშინ ვითამაშეთ ძლიერად, როდესაც ჩვენი წარმატებისა არავის სჯეროდა.

— რუმინეთთან შეხვედრაში ორი პენალტი მოიგერიეთ. ამ დარტყმებისთვის ემზადებოდით თუ ინსტინქტის წყალობით გახდით გმირი?

— როდესაც საქმე პენალტებზე მიდგა, ვიცოდი, რომ თავის გამოჩენის შესაძლებლობა მეძლეოდა. მიუხედავად 13 წლიანი სანაკრებო სტაჟისა ხალხმა ხომ ჩემს შესახებ მაინც არაფერი იცოდა. ერთი სიტყვით, დამატებითი დრო რომ დამთავრდა, გულმა კარგი მიგრძნო. ვხვდებოდი, რომ ერთ ან ორ დარტყმას მოვიგერიებდი. გეხსომებათ, ჩვენ პირველი დარტყმით ვერ გავიტანეთ, მათ კი შეაგდეს, მაგრამ წამით არ ავდელვებულვარ. ცხოვრებაში არის მომენტები და შეგრძნებები, რომელთაც ვერ ახსნი. სადღაც, გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით.

— ამბობენ, რომ მეკარეებს პენალტების სერია უყვართ, მართალია?

— დიახ, იმიტომ, რომ ჩვენ არაფერს ვკარგავთ. ცხოვრების მანძილზე არ მახსოვს თუნდაც ერთი შემთხვევა, ვინმეს პენალტის გაშვებაში მეკარე დაედანაშაულებინოს. ცუდ დღეში ყოველთვის პენალტისტია. 11 მეტრიდან რომ არტყამ, გოლი უნდა გაიტანო, ასეთია ლოგიკა და ეს მეკარეებს ძალიან აძლევთ ხელს.

— იმ წელიწადს შვედეთის ნაკრები მთლიანობაში ძლიერი იყო, არა?

— მართლაც. მარტინ დალინი, კენეტ ანდერსონი, თომას ბროლინი... ამ ფეხბურთელებმა, ჩემი აზრით მსოფლის თვალი მოსწყვიტეს. ჰენრიკ ლარსონიც თამაშობდა მაშინ. მახსოვს, პირველ შეხვედრაში, კამერუნთან, ლარსონი მოედანზე შემოვიდა და მშვენივრად ითამაშა, მას მერე დიდებული კარიერა აქვს. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჰენრიკ ლარსონი ამდენ ხანს და ასე მაღალ დონეზე თამაშს შეძლებდა. „ჰელსინგბორგში" ასეთი დიდი პოტენციალი არ ეტყობოდა.

— ერთი ხანობა სვენ-გორან ერიკსონის ხელმძღვანელობითაც თამაშობდით.

— 21 წლამდელთა ნაკრებში. ის მაშინვე ჩინებული მწვრთნელი იყო და ეჭვი არ მეპარება, მას მერე დაიხვეწებოდა. მას ფეხბურთელების მოსმენის და სათამაშოდ წახალისების უნარი აქვს. მისი ხელმძღვანელობით ბიჭებს გუნდური სული უყალიბდებათ. სვენი მათ თავის მიზნებსა და სურვილებს უნეგავს. მერე, ის არასოდეს ყვირის და მისი არ ეშინიათ, მას პატივს სცემენ. მისი სტილი როგორც ბრიტანელი ასევე სხვა ქვეყნის მწვრთნელებისთვის მეტწილად გაუგებარია, მე კი ვფიქრობ, რომ ამ სტილის გამოა ეს კაცი ამდენი წლის განმავლობაში წარმატებული. მგონი ის სტივენ მაკლარენს ინგლისის ნაკრებში ძალიან კარგ მემკვიდრეობას დაუტოვებს. დღევანდელი ინგლისი მეტოქის თამაშს გაცილებით მეტად აკვირდება, და ეს ყველაფერი სვენის დამსახურებაა.

— რა რეაქცია გქონდათ, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაზე ინგლისი და შვედეთი ერთ ჯგუფში მოხვდნენ?

— მიუხედავად იმისა, რომ ოთხი წლის წინაც ერთად ვიყავით, ვფიქრობ, ინგლისთან თამაში ახლაც ძალიან სასიამოვნო იქნება. შვედები ინგლისელებთან ხშირად არ მარცხდებიან და მგონი გულშემატკივარიც სიამოვნებით ნახავს შეხვედრას. ჩვენს ქვეყანაში სვენის ეშხით ხალხი ხომ უკვე რამდენიმე წელიწადია პრემიერლიგას ადევნებს თვალს. მოკლედ ამ ორ ქვეყანას შორის ბევრი მსგავსებაა, მათი ნაკრებების თამაში კი აუცილებლად დაძაბული და საინტერესო გამოვა. პირადად მე კი შვედეთი—პარაგვაი უფრო მნიშვნელოვან შეხვედრად მიმაჩნია. თუ ჩვენ მოვიგებთ, მაშინ ჯგუფში პირველ ადგილზე გავალთ, ხოლო თუ წავაგებთ, პირველი ინგლისი იქნება.

— რას იტყვით შვედეთის ამ ნაკრებისა და მისი შანსების შესახებ?

— ძნელია რამე თქვა გუნდზე, რომელსაც ქვეყნის ხალხი ჰყავს დაშავებული. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული თუ ვინ გამოჯანმრთელდება და ვინ ვერა. ობიექტურად უძლიერესი თერთმეტეული შვედეთს ძალიან ძლიერი ჰყავს, მაგრამ ითამაშებს კი ეს შემადგენლობა? თავდასხმა კეთილი, ძლიერია, მაგრამ ვინ იქნება დაცვასა და ნახევარდაცვაში?

— რას იტყვით მეკარე ანდრეას ისაკსონზე?

— რამდენიმე წელიწადში ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეთაგანი იქნება. სამწუხაროდ, ამ სეზონში მანაც მიიღო ერთიორი ტრავმა, მაგრამ ცოტა მეტი ვარჯიშით და გამოცდილებით იგი ჯანლუიჯი ბუფონისა და პეტრ ჩეხის მხარდამხარ დასასახელებელი გახდება.

— შვედეთი შედარებით პატარა ქვეყანაა, მაგრამ ფეხბურთში წარმატებებს აღწევს. რა არის თქვენი აზრით ამის მიზეზი?

— ტრადიციულად ბეჯითი და მტკიცე მენტალიტეტის ხალხი ვართ. დისციპლინირებულ შვედებს ჩვენი ქვეყანა გვიყვარს და რისი განვითარებაც შესაძლებელია ყველაფერს ვანვითარებთ. ახლანდელი თაობები ანვითარებენ ტექნიკასაც. ბევრი შვედი ფეხბურთელი ევროპის საუკეთესო გუნდში გამოდის, ეს კი ძალიან მაღალ სტანდარტს ნიშნავს.

— ესე იგი, შვედური მენტალიტეტი განსაკუთრებულია?

— ვფიქრობ, საქმისადმი შვედური დამოკიდებულება მთელს მსოფლიოში მოსწონთ. ჩვენი ეროვნული თვისება პატიოსნება, მუყაითობა და მიზანმიმართულობაა. როდესაც ევროპელები შვედებს სამუშაოდ იყვანენ, იციან რასთანაც აქვთ საქმე. იგივე ხდება ფეხბურთშიც, თუმცა ზოგი ამბობს, რომ ჩვენ ულამაზო ფეხბურთს ვთამაშობთ. მე თუ მკითხავთ, ასე არ არის.

— დაბოლოს, თომას, რას აკეთებთ ახლა?

— ფეხბურთთან აღარ მაქვს კავშირი. ერთი წლის წინ კიდევ ვიყავი „გეტებორგის" დირექტორატის წევრი, მაგრამ წამოვედი. დღეს მე „მოტივაციური სპიკერი" ვარ ანუ მთელს მსოფლიოში ვმოგზაურობ და კონფერენციებზე მისამართებს ვარიგებ. გარდა ამისა, სამსახურებში ასაყვან გასაუბრებებს ვესწრები, რათა შევამოწმო ესა თუ ის ადამიანი მართლა გამოდგება ამა და ამ კამპანიისთვის თუ არა. ცოტა ტელევიზიაშიც ვარ დაკავებული. სამი შვილი მყავს და ცხოვრება მიხარია. ფეხბურთიდან კი იმიტომ წავედი, რომ სიამოვნებას აღარ მანიჭებდა.

კუფრეს ტრაგედია

არგენტინის ნაკრებისა და „რომას" მცველ ლეანდრო კუფრეს გუშინწინ აცნობეს, რომ მამა გარდაეცვალა. სამხრეთამერიკელები ამჟამად გერმანიაში არიან და კარს მომდგარი მუნდიალისთვის ემზადებიან. ცხადია, კუფრეს უნდოდა სამშობლოში დაბრუნება და მძიმე წუთებში ოჯახთან ერთად ყოფილიყო, მაგრამ მერე გადაწყვიტა, რომ ნაკრებთან დარჩება.

„საუკეთესო, რაც ახლა ლეანდროს შეუძლია გააკეთოს, გერმანიაში დარჩენა და ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვაა. ამით იგი მამა ხსოვნას მიაგებს პატივს" — განაცხადა კუფრეს ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა.

კოკი კანდელაკი

პოდოლსკიმ მაკაის კარი გაუღო

რახან ლუკაშ პოდოლსკი მიუნხენის „ბაიერნში" გადავიდა, ბავარიელთა ჰოლანდიელმა ფორვარდმა როი მაკაიმ შეიძლება, მომავალ სეზონში ბედი სხვა გუნდში სცადოს.

ექსდეპორელი როი მოიერიშეთა იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც „ბარსელონას" მწვრთნელებს აინტერესებს.

ჰოლანდიელს ესპანურ პრიმერაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს — ადრე „ტენერიფეს" და „დეპორტივოს" წევრი გახლდათ. „ბაიერნის" თავკაცებიც ექსკოლნელი ლუკაშ პოდოლსკის ყიდვის შემდეგ ნათლად ამჟღავნებენ, რომ სამომავლოდ 31 წლის როი მაკაისთან თანამშრომლობა აღარ უნდათ. ნიდერლანდელმა სამი სეზონი ითამაშა გერმანულ გიგანტში და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

პოდოლსკის „ალიანს არენაზე" გადაბარგება „კიოლნის" პრეზიდენტმა და გერმანიის ნაკრების ძველმა ლეგენდა ვოლფგანგ ოვერატმა დაადასტურა. „ძალიან ბედნიერი ვარ, ასე რომ მოხდა და გულშემატკივრებს კარგ თამაშს ვპირდები" — განაცხადა პოდოლსკიმ.

მაკაი კი, რომელიც „ბარსელონას" ადრეც აინტერესებდა, კვლავ კატალონიური გრანდის სატრანსფერო სამიზნეზე ბრუნდება.

თანამემამულე ფორვარდს „ბარსას" ჰოლანდიელი დამრიგებელი რაიკარდიც კარგად იცნობს. უფრო მეტიც — მაკაი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრებში სწორედ ფრანკ რაიკარდის შეგირდი იყო. მაშინ ნარინჯისფერებმა ტურნირის ნახევარფინალში გააღწიეს.

ლადო ხოფერიძე

ამხანაგური მატჩები

ყრუებს უსტვინეს

ნორვეგია 0:0 სამხრეთ კორეა

სამხრეთ კორეა: ჯ ლი (ონგ-ჯანგ კიმი 38), ჩოი (ონგ-დე კიმი 79), ს კიმი, ჯ. კიმი, ი ლი, სონგი (დონგ-ჯინ კიმი 46), ბეეკ, დო ჰუონ კიმი, ანი (ჩო 46), ჩუნგი, სეოლი

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე სამხრეთ კორეამ მორიგი ამხანაგური შეხვედრა გამართა და ოსლოში ნორვეგიას დაუზავდა. მატჩი საკმაოდ უღიმღამო გამოდგა. გუნდები თავს არ იკლავდნენ და სახიფათო მომენტიც ცოტა იყო. მეორე ტაიმში თამაშის ტემპით უკმაყოფილო ქომაგებმა უსტვინეს, მაგრამ ფეხბურთელებზე ამას არ უმოქმედია.

დიკ ადვოკაატის შეგირდები თამაშის გამწვავებას, ძირითადად, ფლანგებიდან ცდილობდნენ. კორეელებს საუკეთესო შანსი იუნგ ჰვან ანის აქტიურობის წყალობით შეექმნათ, მაგრამ მისი გარეკა კი ჰეიონ სეოლმა წყალში ჩაყარა და ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ აზიელებმა გუნდის ლიდერის, „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველ ჯი სუნგ პარკის გარეშე ითამაშეს. მან ტრავმის მოშუშება კი მოასწრო და ექიმებმაც მინდორზე გასვლის ნება დართეს, მაგრამ ადვოკაატმა არ გარისკა და პარკი დაასვენა.

სამუნდიალოდ მზადებისას, ნორვეგიამდე, კორეა სენეგალს დაუზავდა (1:1) და 2:0 მოუგო ბოსნიას. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე აზიელებს კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი 4 ივნისს განასთან ელით.

გიორგი კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონე რობერტო ბაჯოს პატრონია

რობერტო ბაჯოს აგენტმა ვიტორიო პატრონემ დაადასტურა, რომ ტურინის „იუვენტუსთან" მოლაპარაკება მიმდინარეობს და შესაძლოა, „ცხენისკუდა" „ბებერი ქალბატონის" ვიცე-პრეზიდენტი გახდეს.

„ნამდვილად ვერ გეტყვით, რომ რობერტო „იუვენტუსში" აუცილებლად დაბრუნდება, მაგრამ ვერც გამოვრიცხავ ამას. მოლაპარაკება მართლაც დაწყებულია და რა იქნება, ჯერ არ ვიცი" — აღნიშნა პატრონემ.

მოგეხსენებათ, „იუვენტუსს" სერია B-ში დაქვეითების საშიშროება ელის და თუ ეს მოხდა, ეგებ რობიმ ტურინელთა რიგებში მუშაობა იუაროს. თუმცა ამ წინადადებით რომ დაინტერესებულია, მისი აგენტის სიტყვებიდანაც ჩანს.

„ბაჯოს იტალიურ ფეხბურთში ყველა იცნობს და იგი სასურველი ფიგურაა. მე და რობი, ყველა შემოთავაზებას ყურადღებით განვიხილავთ, გადაწყვეტილებას კი, ალბათ, ახლო მომავალში მივიღებთ.რაც შეეხება კონკრეტულად „იუვენტუსს", შესაძლოა, გამოძიების განაჩენსაც დაველოდთ. როგორც იცით, ტურინელებს ბრალდება თუ დაუმტკიცდათ, სერიოზული სასჯელი ელით" — დასძინა პატრონემ.

ანიელების ოჯახი კი, რომელიც „ბებერი ქალბატონის" აქციების საკონტროლი პაკეტის მფლობელია, ყველანაირად ცდილობს, გუნდის უფროსობა გადაახალისოს და ბაჯო დაითანხმოს.

გიორგი კაკაბაძე

სათადარიგოთა სკამის ძალა

ჰოლანდია 2:1 მექსიკა

0:1 ბორხეტი (19), 1:1 ჰეიტინგა (52), 2:1 ბაბელი (57)

ჰოლანდია: ტიმერი (შტეკელენბურგი 46), ჰეიტინგა, ბულარუზი, კრომკამპი, დე კლერი, ლანძააატი, მადურო, სნეიდერი, ბაბელი, კუიტი, ვან პერსი (ვენგოორ ოფ ჰესელინკი 46)

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

მექსიკა: სანჩესი, კასტრო (არელანო 65), მარკესი, ოსორიო, პინედა (სუარესი 65), სალკიდო, პარდო (ტორადო 46), ბორხეტი, ბრავო (რ. გარსია 46), ფონსეკა (რ. მორალესი 46), ფრანკო (ნაელსონი 46)

მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

პაველ პარდო და ტიმ დე კლერი

ჰოლანდიის ნაკრებმა ეინდჰოვენში მექსიკას თითქმის სათადარიგო შემადგენლობით მოუგო.

„საკმაოდ შედეგიანი თამაში გამოვიდა. ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ, მექსიკისნაირი ნაკრების დამარცხება, როცა მეტოქე 5 მცველით გიპირისპირდება, ადვილი არ გახლავთ" — განაცხადა მატჩის შემდეგ ჰოლანდიელთა მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა.

ლეგენდარულმა მარკომ თითქმის მთელი ძირითადი დაასვენა და ეს, როგორც თავად აღნიშნა, იმიტომ გააკეთა, რომ სათადარიგოთა ნამდვილი ძალა გაეგო. მოედანზე მხოლოდ სნეიდერი, კრომკამპი და ვან პერსი იყვნენ იმ შემადგენლობიდან, გასულ შაბათს როტერდამში კამერუნი რომ დაამარცხა.

მექსიკელთა არგენტინელ თავკაც რიკარდო ლა ვოლპეს კი თავის გუნდში ბევრი ცვლილებები არ მოუხდენია. ჰოლანდიასთან ოკეანისგაღმელებს მოიერიშე ფრანსისკო ფონსეკა შეემატათ, რომლის არყოფნამაც მექსიკას საფრანგეთთან ჯახში ფრიად ავნო (ლა ვოლპეს ბიჭები ფრანგებთან დამარცხდნენ).

„პირველ ტაიმში ჩინებულად ვითამაშეთ. ჰოლანდიამ ჩვენ ვერავითარი სიურპრიზი ვერ შემოგვთავაზა. მუნდიალზეც დაახლოებით ისე უნდა ვიბურთაოთ, როგორც ეინდჰოვენის შეხვედრის პირველ ნახევარში იყო" — აცხადებდა თამაშის შემდეგ ფრანსისკო ფონსეკა.

ჰოლანდიელთა ტრადიციულ 4-3-3-ს სისტემას მექსიკამ 5 უკანახაზელი შეაგება. თუმცა სტუმრები მოედანზე თავიდან 4 ფორვარდით გამოვიდნენ...

პირველ ტაიმში უფრო ჰოლანდია უტევდა, თუმცა ანგარიში მექსიკელებმა გახსნეს — ჰეიტინგამ ხარედ ბორგეტის ხელი ვერ შეუშალა და „ბოლტონის" თავდამსხმელმაც ჰენკ ტიმერს ლამაზი გოლი შეუგდო.

შესვენებაზე გუნდები ამ ანგარიშით გავიდნენ, ხოლო მეორე ტაიმში ჰოლანდიამ იერიშები გააძაფრა და გამარჯვებაც მოიმკო. უესლი სნეიდერის მოწოდებული კუთხური ჰეიტინგამ 52-ე წუთზე გოლად აქცია. მცირე ხნის შემდეგ კი კუიტის პასით ბაბელმა გაიტანა — 2:1 ნიდერლანდელთა სასარგებლოდ.

მარკო ვან ბასტენის მოწაფეები მუნდიალამდე ავსტრალიასთან ბოლო შერკინებას რთულ მატჩში გამარჯვებით გამხნევებულები ხვდებიან, მექსიკამ კი ბოლო ხუთ დღეში ორი წაგება იწვნია.

ლადო ხომერიკი

კიმმა თქვა კი

საფრანგეთის ჩემპიონმა „ლიონმა" სამომავალსეზონოდ გაძლიერება დაიწყო და გუშინ „რენიდან" შვედი ნახევარმცველი კიმ კალსტრიომი შეიძინა.

კალსტრიომი შვედეთის ნაკრების ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია. იგი 2003 წელს გადავიდა „იურგორდენიდან" „რენში" და გუნდის ლიდერი გახდა. 23 წლის ნახევარმცველი ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია საფრანგეთის ჩემპიონატში.

რენელებთან „ლიონის" რამდენიმედღიანი მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ ჩემპიონმა 8 მილიონი ევრო გადაიხადა ნიჭიერი მოთამაშის სანაცვლოდ. კიმ კალსტრიომმა ჟერარ ულიეს გუნდთან 5 წლიანი კონტრაქტი გააფორმა

ვაჟა ხუციშვილი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა

VIII ტური

ჰაკა — ლაჰტი 1:1; მარიეჰამნი — ინტერი 0:1; კუოპიო — ჰონკა 2:2; მიუპა — იარო 2:0; ტურკუ — კტპ 7:0; ვაასა — ჰიკ 2:2

ტამპერე	7	5	1	1	11:5	16
მიუპა	7	4	1	2	9:3	13
ჰონკა	6	4	1	1	11:8	13
ტურკუ	7	3	2	2	17:8	11
მარიეჰამნი	8	2	4	2	11:10	10
ჰაკა	8	2	3	3	5:5	9
ლაჰტი	7	2	3	2	5:6	9
ინტერი	6	2	2	2	5:5	8
ჰიკ	6	2	2	2	5:5	8
კტპ	6	2	1	3	5:12	7
ვაასა	6	1	2	3	6:9	5
იარო	5	1	1	3	4:8	4
კუოპიო	7	0	3	4	3:13	3

ბრაზილია

სერია A. X ტური

კრუზეირო — ატლ. პარანენსე 1:1; ფორტალეზა — ვასკუ და გამა 1:1; ფლამენგო — პონტე პრეტა 0:1; სან კეტანო — ინტერნასიონალი 1:1; ფლამენგო — პალმეირასი 2:1; გრემიო — სანტოსი 1:0; სან პაულუ — ფლუმინენსე 1:0; ბოტაფოგო — ფიგეირენსე 2:3; კორინთიანსი — გოიასი 0:1; პარანა — სანტა კრუზი 3:0

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა

გადადებული მატჩები

ვაშინგტონი 5:1 კოლუმბუსი

კოლორადო 1:0 ლოს ანჯელესი

სლოვაკეთი

I ლიგა. XXXVI ტური

დუბნიცა — ბანსკა ბისტრიცა 0:0; არტმედია — ინტერი 1:0; პუხოვი — ნიტრა 1:0; რუჟომბეროკი — ტრენჩინი 3:0; ჟილინა — ტრნავა 2:1

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია						
		სერია B						
		3 ივნისი						
22:45	382	აველინო-ალბინოლეფე(ნ)	2.20	2.70	3.40	1.21	1.33	1.50
		ესპანეთი						
		II დივიზიონი						
		3 ივნისი						
22:00	5	სიუდადი-მურსია	1.45	3.50	6.70	1.02	1.19	2.29
20:30	7	სპორტინგი-ფეროლი	1.40	3.70	7.00	1.01	1.16	2.42
20:30	11	ტენერიფე-ელჩე	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
20:30	13	სერესი-ტარაგონა	2.90	2.80	2.35	1.42	1.29	1.27
		4 ივნისი						
21:00	3	ალმერია-რეალი(ბ)	1.90	2.90	4.00	1.14	1.28	1.68
22:00	4	კასტელონი-მალაგა ბ	1.35	3.80	8.50	1.00	1.16	2.62
21:00	6	ეიბარი-ლევანტე	7.00	3.70	1.40	2.42	1.16	1.01
20:00	8	ჰერკულესი-ალბასეტე	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
22:00	9	ლორკა-ლეიდა	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
14:00	10	ნუმანსია-უელვა	2.90	2.80	2.35	1.42	1.29	1.27
20:00	12	ვალიადოლიდი-ეხიდო	2.25	2.50	3.60	1.18	1.38	1.47
		დანია						
		I დივიზიონი						
		3 ივნისი						
17:00	28	ბრიონსჰოი-ლიუნგბიუ	7.00	5.30	1.25	3.01	1.06	1.01
17:00	29	ჰელერუპი-რანდერსი	3.80	3.50	1.75	1.82	1.19	1.16
		5 ივნისი						
15:00	30	ფრედერისია-ფრემადი	2.00	3.60	2.85	1.28	1.17	1.59
15:00	31	კოლდინგი-კიოგე	2.35	3.70	2.35	1.43	1.17	1.43
		ნორვეგია						
		ტიპელიგა						
		5 ივნისი						
20:00	37	ჰამარი-მოლდე	1.90	3.40	3.65	1.21	1.24	1.76
20:00	38	ლინი-ვიკინგი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
20:00	39	ოდ გრენლანდი-ფრედრიქსტადი	1.95	3.40	3.40	1.23	1.23	1.70
20:00	40	სანდეფიორდი-სტარტი	2.45	3.30	2.65	1.40	1.27	1.46
20:00	41	ტრომსიო-ლილესტრიომი	3.10	3.30	2.15	1.59	1.26	1.30
22:00	42	რუსენბორგი-ბრანი	2.15	3.30	3.10	1.30	1.26	1.59
		ნორვეგია						
		I დივიზიონი						
		4 ივნისი						
21:00	45	ალესუნდი-სტრომგოდსეტი	1.95	3.40	3.50	1.23	1.25	1.72
		5 ივნისი						
20:00	46	ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი	2.05	3.40	2.90	1.27	1.20	1.56
20:00	47	ლოვ ჰამი-ჰიოდი	1.65	3.60	4.30	1.13	1.19	1.95
20:00	48	მოსი-ფოლო	1.45	4.20	5.50	1.07	1.14	2.38
20:00	49	პორს გრენლანდი-ბოდიო გლიმტი	3.10	3.50	1.95	1.64	1.19	1.25
20:00	50	სოგნდალი-მანგლერუდი	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
20:00	51	სპარტა ს-ჰიონეფოსი	2.40	3.40	2.50	1.40	1.22	1.44
20:00	52	ტრომსდალენი-ბრინი	2.85	3.50	2.10	1.57	1.20	1.31
		ირლანდია						
		3 ივნისი						
22:45	84	სლიგო-ლონგფორდი	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
		აშშ						
		3 ივნისი						
23:45	87	ვაშინგტონი-ნიუ ინგლენდი	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
23:45	88	დალასი-კოლამბუსი	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
23:45	89	ჰიუსტონი-ლოს ანჯელესი	1.65	3.30	4.60	1.10	1.21	1:92
23:45	90	კანზასი-ნიუ იორკი	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1:59
23:45	91	სოლტ ლეიკი-ჩიკაგო	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
23:45	92	ჩივასი-კოლორადო	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
		ბრაზილია						
		3 ივნისი						
23:00	103	ფლუმინენსე-ინტერნასიონალი	1.95	3.30	3.20	1.22	1.21	1.62
23:00	104	ფორტალესა-კრუზეირო	2.45	3.20	2.45	1.38	1.22	1.38
23:45	105	გრემიო-სან კაეტანო	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
		4 ივნისი						
23:00	106	ატლეტიკო პრ-პალმეირასი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
23:00	107	კორინთიანსი-ფლამენგო	1.70	3.20	4.40	1.11	1.22	1.85
23:00	108	პონტე პრეტა-ფიგეირენსე	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
23:00	109	ვასკუ და გამა-სანტა კრუსი	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
23:45	110	გოიასი-პარანა	1.70	3.20	4.20	1.11	1.21	1.81
23:45	111	ქუვენტუდი-სან პაულუ	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
23:45	112	სანტოსი-ბოტაფოგო	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40
		ამხანაგური მატჩები						
		3 ივნისი						
17:00	144	ინგლისი-იამაიკა	1.15	5.50	14.00	1.00	1.06	3.94
19:30	145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.20	5.40	10.00	1.00	1.07	3.50
19:30	146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
19:30	147	შვეიცარია-ჩინეთი	1.32	4.20	9.00	1.00	1.15	2.86
22:00	148	ლუქსემბურგი-პორტუგალია	25.00	10.00	1.02	7.14	1.00	1.00
23:45	149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.40	3.80	8.00	1.02	1.19	2.57
		4 ივნისი						
18:00	151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.85	3.20	4.00	1.17	1.26	1.77
20:00	152	ბრაზილია-ახალი ზელანდია(ნ)	1.04	8.00	24.00	1.00	1.00	6.00
21:00	153	იაპონია-მალტა(ნ)	1.15	5.50	15.00	1.00	1.06	4.02
17:00	155	არგენტინა-ს არაბეთი(ნ)	1.20	5.00	12.00	1.00	1.09	3.52
		ეჩ.(21) პორტუგალია						
		4 ივნისი						
22:45	406	პოლანდია(21)-უკრაინა(21)	2.20	3.10	3.10	1.28	1.28	1.54

			1	2
		ჩოგბურთი. კაცები. Roland Garros		
		3 ივნისი		
13:00	402	ო როხუსი-ა მარტინი	1.65	2.05
13:00	403	ხიუიტი-ხრბატი	1.60	2.00
13:00	404	შტეპანეკი-ბენეტო	1.30	3.00
13:00	407	ჯოკოვიჩი-ხაასი	1.80	1.80

			1	2
		ჩოგბურთი. ქალები. Roland Garros		
		3 ივნისი		
13:00	399	მისკინა-ივანოვიჩი	1.80	1.80
13:00	405	დულკო-პერი	1.45	2.40
13:00	408	ხანტუჩოვა-დეში	1.55	2.15
13:00	409	ენინი-ვარბინი	1.03	8.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.50	2.50	8.00	1.00	1.26	1.90
10146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10147	შვეიცარია-ჩინეთი	1.65	2.40	7.00	1.00	1.33	1.78
10149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.70	2.40	6.00	1.00	1.32	1.71
10151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	2.35	1.90	4.40	1.05	1.53	1.32
10153	იაპონია-მალტა(ნ)	1.40	2.90	8.50	1.00	1.20	2.16

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11144	ინგლისი-იამაიკა	1.25	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.35	15.00	30.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00
11147	შვეიცარია-ჩინეთი	1.65	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.75	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	2.70	10.00	20.00	3.60	4.40	7.00	20.00	10.00	6.00

რამდენი გოლი ბავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12145	ჩეხეთი-ტრინიდადი	2.00	1.60
12146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.90	1.70
12147	შვეიცარია-ჩინეთი	2.00	1.60
12149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.90	1.70
12151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.70	1.90
12153	იაპონია-მალტა(ნ)	2.10	1.50

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.90	1.70
13146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.70	1.90
13147	შვეიცარია-ჩინეთი	1.95	1.60
13149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.90	1.70
13151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.70	1.90
13153	იაპონია-მალტა(ნ)	2.00	1.50

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ზაგვულად ჩაითვლება)

14145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.05	2.90
14146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.80	2.00
14147	შვეიცარია-ჩინეთი	1.16	2.50
14149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.18	2.60
14151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.60	2.30

რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბარად	II-ში
15145	ჩეხეთი-ტრინიდადი	3.00	2.80	2.00
15146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	3.00	2.80	2.00
15147	შვეიცარია-ჩინეთი	3.00	2.80	2.00
15149	ესპანეთი-ეგვიპტე	3.00	2.80	2.00
15151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.03	5.50
16146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.45	2.00
16147	შვეიცარია-ჩინეთი	1.09	5.00
16149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.12	4.00
16151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.35	2.50

გოლი:ზუსტი-10ზე კენტი-2. (0:0 ითვლება ზუსტად)

17145	ჩეხეთი-ტრინიდადი	1.85	1.95
17146	ხორვატია-პოლონეთი(ნ)	1.85	1.95
17147	შვეიცარია-ჩინეთი	1.85	1.95
17149	ესპანეთი-ეგვიპტე	1.85	1.95
17151	კოტ დიუარი-სლოვენია(ნ)	1.85	1.95
17153	იაპონია-მალტა(ნ)	1.85	1.95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაააზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	

სამმაგი დუბლის დევნაში მოპოვებული ჩემპიონობა

პოტე ტულუში აგვისტოს, შვილს და ქართულ წინადადებას ელის

„ავიამშენის“ თამაშების შემდეგ მსაჯთა მაგიდაზე მდგარ კომპიუტერთან ამ გუნდის ფუტკარივით მშრომელი გამთამაშებელი მოირბენდა და მატჩის სტატისტიკას ჩაჰკირკიტებდა. აუ, კიდევ 2 პასი დამაკლდა, იტყოდა ხოლმე, ხანაც არასაკმარის მოხსნებზე დაიჩივლებდა. კოტე ტულუში თითქმის ყოველ მატჩში უტრიალებდა სამმაგ დუბლს და, როგორც ვთქვით, მიზნამდე ხან 2 პასი აკლდებოდა, ხან ერთი და ხანაც კინკილა მოხსნა. ერთხელაც ისე მოხდა, რომ კოტეს მსაჯთა მაგიდასთან არ დაუჩივლია — ქულა ოცზე მეტი მოჰგროვებოდა, მოხსნა — 14 და პასების გრაფის გასწვრივ 10 ეწერა. არის! კოტე ტულუშმა საპლეიოფო მატჩში სამმაგი დუბლი გაახერხა და თავისი ქია, რომ იტყვიან, გაახარა. დღეს კოტეს დაბადების დღეა, ზუსტად ორი კვირის წინ კი ის ჩემპიონი გახდა...

ვშობდ ტულუშვილის ფოტო

— ირანიდან იმ მიზნით ჩამოვედი, რომ საქართველოს ჩემპიონი გავმხდარიყავი და ბედნიერი ვარ, ოცნების ასრულებით.

— უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, სპარსეთშიც რომ გეჩემპიონა და საქართველოშიც...

— რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ ასეთი რამე არ შეიძლება, მომხდარიყო. ირანში რომ ჩემპიონი გავმხდარიყავი, საქართველოში ვეღარ ვითამაშებდი, რადგან გუნდებს მოთამაშის დამატების უფლება აღარ ექნებოდათ. ჩემი გუნდი, სირჯანის „ვორგოჰარი“, პლეი ოფში კი გავიდა, მაგრამ პირველივე წრეში დამარცხდა და ნაადრევად გავთავისუფლდი.

— შენი დამატება სტუ-ს უნდოდა, მისი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი ხშირად იმეორებდა, კოტე ტულუშს ველით ირანიდანო. შენ კი მოულოდნელად „ავიამშენში“ აღმოჩნდი...

— სტუ-სთან მართლაც ვიყავი მოლაპარაკებული, მაგრამ „ავიამშენში“ დაუკითხავად არ წავსულვარ. რომ ჩამოვედი, „ავიამშენის“ ხელმძღვანელობა დამიკავშირდა და თავისი პირობები შემომთავაზა, რაც გაცილებით უკეთესი იყო, სტუ-სთან შედარებით. ეს ვუთხარი ნუგზარ ჭეიშვილს და ის გაგებით მოეკიდა ჩემს გადაწყვეტილებას. თუ უკეთეს პირობებს გთავაზობენ, მე ვერ დაგაკავებო.

— ნახევარფინალში სწორედ სტუ-ს შეხვდით და გვარიანი ნერვიულობისა და ბრძოლის შედეგად მოუგეთ. სტუ-ში რომ გეთამაშა, ეგებ „ავიამშენი“ დამარცხებულიყო კიდეც...

— სტუ-ს ახლაც რომ მოეგო, გასაკვირი არ იქნებოდა. ეს ძალიან ბრძოლისუნარიანი გუნდია და ფინალში რომ გასულიყო, ვერავინ დაამადლიდა. სერიაში 1:2 რომ ჩამოვრჩით, ძალიან შევშფოთდი, წაგების ზღვარზე ვიყავით და საბოლოოდ რომ ვიმარჯვეთ, ეს უდიდესი ძალისხმევის ხარჯზე მოხდა. სიმართლე გითხრა, მე სტუ-ს უფრო ვუფრთხოდი, ვიდრე „აზოტს“.

— ანუ, ფინალში რომ „აზოტი“ შეგხვდათ, თავს უკვე ჩემპიონად თვლიდი?

— არა, რა თქმა უნდა, მაგრამ „აზოტის“ დამარცხების უფრო მჯეროდა. ასე, ალბათ, ჩემი სათამაშო პოზიციის გამო ვფიქრობდი. სტუ-ს უკანახაზელებთან უფრო გამიჭირდა, ვიდრე აზოტელებთან.

— ფინალური სერიიდან ყველაზე მეტად რა დაგამახსოვრდა?

— ყველა მატჩი გამორჩეული და საინტერესო იყო, განსაკუთრებით ბოლო, მეხუთე შეხვედრა. კონკრეტული ეპიზოდის გამორჩევა მიჭირს. უფრო მაყურებელთა სიჭარბე და აქტიურობა არ გადმომდის თვალებიდან. ძალიან დიდი ამბები იყო ფინალის ხუთივე მატჩზე და მიუხედავად მცირე ინციდენტისა, მთლიანობაში ყველაფერმა კორექტულად ჩაიარა.

— ალბათ, ყველაზე ნაკლებად რუსთავულ მატჩებს გაისხენებ, რომლებშიც უიმედოდ წააგეთ...

— რომ ვიცოდით, რუსთავში რაც გველოდა, იმიტომ გავიგიჟეთ თავი და სერიის საწყის ორ თბილისურ მატჩში მეტოქეს თავი შევაკალით. არაფრის დიდებით არ უნდა დაგვეშვა „აზოტის“ თბილისში გამარჯვება, რადგან რუსთავში მომგები არ ვიყავით და ეს თავად თამაშებმაც აჩვენა.

— რუსთავში 25 ქულით წაგებული პირველი მატჩის შემდეგ შენ თქვი, ეს ფინალი იყო, „აზოტი“ მოგებულია, ამიტომ ეამიდევნო მატჩს მოვიგებთო.

— როცა შევატყვეთ, „აზოტის“ შემჩერებლები არ ვიყავით, მართლაც განზრახ დავუთმეთ ბოლო წუთები და საბოლოოდ დიდი ანგარიშითაც წავაგეთ. ეს გარკვეული სახის ტაქტიკა იყო, რომელმაც ნაწილობრივ გაჭრა, რადგან მომდევნო რუსთაველ მატჩში მთელი პირველი ტაიმი ვჯაბნიდით „აზოტს“, თუმცა საბოლოოდ მაინც წავაგეთ. ისე, ახლა რომ ვფიქრობ, ჯობდა, ისე მომხდარიყო, როგორც სინამდვილეში მოხდა. რუსთავში გაჩემპიონებას, რა თქმა უნდა, თბილისში გამარჯვება გვერჩივნა.

— ეს შენი პირველი ჩემპიონობა იყო?

— როგორც აქტიური კალათბურთელის, პირველი იყო. როცა სრულიად ახალგაზრდა ვიყავი, „ეთას“ შემადგენლობაში ორჯერ გავხდი ჩემპიონი, რასაც ამ გამარჯვებას ვერანაირად ვერ შევადრი. „ავიამშენთან“ ერთად მოგებული ოქრო ჩემთვის გამორჩეულია და ასე დარჩება, მომავალში რაც არ უნდა მოვიგო.

— სამომავლოდ რას აპირებ. ალბათ, ნებისმიერი ქართული კლუბი ინატრებდა უკანა ხაზში კოტე ტულუშის ყოლას.

— ინატრებდა და ვიქნები კიდეც. თითქმის გადაწყვეტილი მაქვს საქართველოში დარჩენა, მიუხედავად იმისა, რომ ირანის წამყვანი გუნდებიდან არაერთი შემოთავაზება მაქვს. ამის მიზეზი ისაა, რომ აგვისტოში შვილს ველოდები და მინდა, ოჯახთან ერთად სამშობლოში ვიყო.

ირაკლი პერტაია

ნოვიცკი-50-ჯი!

2006 NBA Playoffs

AFP დალასიდან

1 ივნისი

დასავლეთის ფინალი

დალასი 3:2 ფინიქსი

დალასი 117:101 ფინიქსი

დალასი: ტერი (14), ჰარისი (3), ჰოვარდი (23), ნოვიცკი (50 ქულა, 12 მოხსნა), დიოპი (7), სტეკჰაუსი (16), ვან ჰორნი (4), გრიფინი, არმსტრონგი

ფინიქსი: ნეში (20 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), ბელი (3), ტომასი (26), მერიონი (20 ქულა, 10 მოხსნა), დიაუ (16), ბარბოსა (14), ჯონსი (2), ჰაუსი

ცვლილებული სათადარიგო იყო

სერიის მეოთხე, 20 ქულით წაგებული თამაშის შემდეგ „დალასის“ თავკაცმა აივერი ჯონსონმა დირკ ნოვიცკი დაიბარა, ოთახში შეკეტა, მატჩის ფირი ჩაურთო და უთხრა — „უყურე!“ საკუთარი თავის ხილვა ნამდვილად ვერ მოჰგვრიდა კმაყოფილებას გოლიათ გერმანელს... პირდაპირ საზიზღრად ითამაშა, 11 სროლიდან მხოლოდ 3 ჩააგდო, მხოლოდ 11 ქულა მიახმარა თავის გუნდს. ამ პლეი ოფში პირველად ვერ გააკეთა თუნდაც ოცი ქულა... ასე თავჩახრილი, წარბებქვეშიდან უყურებდა საკუთარ საცოდაობას.

ხოლო ნბა-ს ხუთგზის ჩემპიონმა, დღეს კი საკალათბურთო ანალიტიკოსმა სტივ კერმა იმ მატჩის მიმოხილვაში დაწერა — „დიახ, დირკი ადამიანია, მაგრამ მე ეს მხოლოდ დღეს შევამჩნიე.“

1 ივნისს დირკ ნოვიცკიმ ყველას აჩვენა, როგორი ადამიანიცაა — „ფინიქსს“ 50 ქულა დაატეხა და გაიმეორა წლევანდელი პლეი ოფის კობი ბრაიანტისეული საყოველთაო რეკორდი, ამასთან „დალასის“ ყველა დროის საპლეიოფო რეკორდიც ჩაიწერა. მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ მან პირადად მოაგებინა „დალას მავერიკსს“ დასავლეთის ფინალის მეხუთე ჯახი და ეს არცთუ მდიდარი ისტორიის მქონე გუნდი ისე მიაახლოვა დიდ ფინალს, როგორც არასდროს.

ყველაფერი ტრადიციული ჰოლივუდური თრილერის სცენარით წარიმართა: მესამე მეოთხედის ბოლოსკენ ფინიქსელმა ტიმ ტომასმა მორიგი, მეექვსე სამქულიანი ჩააგდო და თავისი გუნდი შვიდი ქულით დააწინაურა — 77:70. ტომასი წინა თამაშშიც მეურვეობდა ნოვიცკის და გერმანელი მისი წყალობით გაიყინა 11 ქულაზე. ახლაც ეს ორნი მთელი შეხვედრის განმავლობაში კინკლაობდნენ და ერთმანეთს უსიამო ფრაზებს არ „ამადლებდნენ“, ხოლო ამ სამიანის ჩაგდების შემდეგ ტომასმა ჰაეროვანი კოცნაც კი გაუგზავნა ნოვიცკის. ისედაც ლამის გაცოფებული გერმანელისთვის ეს იყო ბოლო წვეთი. „დალასმა“ წუთშესვენება აიღო და უნდა გენახათ, რა ხდებოდა ამ გუნდის სკამთან. ვინ აცდიდა აივერი ჯონსონს ლაპარაკს? იმ მომენტში ნოვიცკი „დალასის“ ლიდერიც იყო, მწვრთნელიც და ყველაფერიც. ის ლაპარაკობდა და თან თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდა. ბოლოს თქვა — „გავედით!“ მაგრამ, მგონი, თანაგუნდელებისთვის არც შეუხედავს, პირადად ჩააგდო ზედიზედ 7 ქულა და მერე დევინ ჰარისს ისეთი პასი მიაწოდა, მან ორიანიც ჩააგდო და მეურვეს ჯარიმაც აჰკიდა. „დალასმა“ უკაცრავად, ნოვიცკიმ ეს მონაკვეთი 10:0 მოუგო „ფინიქსს“ და თავისი გუნდი ბოლო მეოთხედის წინ შესვენებაზე ერთქულიანი უპირატესობით გაიყვანა.

თურმე, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო...

ბოლო მეოთხედში დირკის შეჩერება ვეღარავის და ვეღარაფერს შეეძლო, ყრიდა და ყრიდა ნაირ-ნაირ ბურთებს და ზედიზედ გააკეთა თავისი გუნდის 15 ქულა. ეს მეოთხედი მან პირადად 22:20 მოუგო „ფინიქსს“ (ისე, „დალასმა“ მეოთხედი 35:20 მოიგო). ყველაფერი გადაწყვეტილი რომ იყო და მატჩის დამთავრებამდე წუთზე ოდნავ მეტი რომ რჩებოდა, ნოვიცკიმ მაშინ ჩააგდო ბოლო ბურთი, სამქულიანი და, აი, როგორ: გატყორცნა და იმდენად იყო დარწმუნებული, რომ ჩავარდებოდა, გამობრუნდა და ღრიალით გაიქცა საკუთარი ნახევრისკენ. ბურთი რომ ჩაეშვა, ის უკვე ცენტრამდე იყო მოსული. დარბაზი ლამის დაინგრა. აივერი ჯონსონმა წუთშესვენება იმიტომ აიღო, რომ 20 ათასი გადარეული დალასელისთვის ბღავილის და თავისი გმირის მიმართ მადლიერების გამოხატვის საშუალება მიეცა.

გაოგნებული იყო ნამატჩევს „ფინიქსის“ თავკაცი მაიკ დანტონი — „მე უკვე აღარც კი ვიცი, რა უნდა მოვუხერხო ამ კაცს, ანკი საერთოდ შესაძლებელია მისი შეჩერება? 213 სანტიმეტრია და ნებისმიერი წერტილიდან შეუძლია სროლა. რა უნდა უყო? დაჯარიმდე? ჯარიმას ააცილებს თუ? ყოველთვის, როცა ბურთს ესვრის, თითებს ვაჯვარედინებ ხოლმე და ასეთ რაღაცებს ვაკეთებ, მაგრამ რა ხეირი?!“

ისევ სტივ კერი: „ნოვიცკის შეჩერებას ამქვეყნად მხოლოდ ერთი ვინმე მოახერხებდა, დენის როდმანი, მაგრამ ის დიდი ხანია, კალათბურთს აღარ თამაშობს.“

კოტე ყორჩია

მცხეთური საჭიდაო

ახალი დარბაზი, ახალი ფედერაცია

ახალი დარბაზი დავით ნამგალაურმა, ვასილ მაღლაფერიძემ და კახა გეწაძემ გახსნეს

გუშინ მცხეთაში ქართული სპორტის ხელმძღვანელები ჩავიდნენ. მიზეზი ორი საჭიდაო სიახლე იყო: მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ფედერაციის დაფუძნება და ახალი დარბაზის გახსნა. მეორე ღონისძიება მარტო მოჭიდაველებს როდი ეხებოდათ. დარბაზში ხალიჩასთან ერთად ძიუდოს ტატამიცაა გაშლილი და მასზე გუშინ ერთ-ერთმა პირველებმა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა და ევროპის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმა შეაბიჯეს. ამ უკანასკნელმა ოდნავ მოგვიანებით კიმონოში გამოწყობილ პატარებსაც მიმართა და დიდი მიღწევები უსურვა.

გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ვასილ მაღლაფერიძემ, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ მიიღეს მონაწილეობა. ლენტის გაჭრის შემდეგ ტატამ-ხალიჩაზე საჩვენებელი შეხვედრები გაიმართა. იქამდე ქართულიც იცეკვეს და რაღა თქმა უნდა, რეგიონის და სპორტის მაღალჩინოსნებმაც მიმართეს დამსწრეთ.

ნამგალაურის თქმით, ბოლო წლებში გახსნილ დარბაზებს შორის მცეხთისა ყველაზე ლამაზი და კეთილმოწყობილია. დაახლოებით 200-კაციანი ტრიბუნებით გარშემოტყმული ორხალიჩიანი სავარჯიშო ფართის, გასახდელების, საშხაპეების თუ კაბინეტების ნახვა ერთ რამედ ღირს. მხარის გუბერნატორმაც აღფრთოვანებულმა მიმართა ბავშვებს — პირობები გაქვთ, ახლა ისღა დაგრჩენიათ მონდომებით ივარჯიშოთ და საქართველოს ნაკრების სახელით დიდ გამარჯვებებს მიაღწიოთო.

რაც შეეხება პირველ საკითხს, რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი წარსულში ცნობილი მცხეთელი მოჭიდავე და მეცენატი მევლუდ ჩხაიძე გახდა. მას მხარი ერთსულოვნად დაუჭირეს.

კახა გეწაძე: — ჩხაიძე ჩვენი ფედერაციის კანდიდატურაა. საწინააღმდეგო არავის არაფერი უთქვამს, რადგან აშკარაა, რომ საჭიდაო საქმეებს კარგად გაუძღვება. საერთოდაც, რეგიონალური ფედერაციების შექმნა კარგი იდეაა. საქმე უფრო რეგულირებადი გახდება. უკვე ჩამოვაყალიბეთ აჭარისა და გურიის ფედერაციები და ალბათ ეს ტენდენცია სხვა რეგიონებშიც გაგრძელდება. მცხეთა-მთიანეთი წარმატებული რეგიონია. აქ ბევრი ძლიერი მოჭიდავე გაზრდილა, მაგრამ ბოლო წლებში სათანადო პირობების არაარსებობის გამო ვინ იცის, რამდენი ტალანტი დავკარგეთ. რეგიონალური ფედერაციის დაფუძნება და ახალი დარბაზის გახსნა ერთმანეთს სპეციალურად დავამთხვიეთ. ეს ორი სიახლე ქართული ჭიდაობის აღორძინებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ოთარ მაღლაკელიძე

კულჰარდი შესანიშნავ შვიდეულს შეუერთდა

შოტლანდიელმა მეფორმულემ დევიდ კულჰარდმა მიმდინარე სეზონში უკვე მეორე საიუბილეო მიღწევა მითვალა. ჯერ იყო და, ორი თვის წინ, ავსტრალიაში საკარიერო ხუთასქულიანი ზღვარი დაძლია, ხოლო გასულ კვირას მონტე კარლოში მეორასედ გაირბოლა.

200 ეტაპში მონაწილეობა ზეგამორჩეული მაჩვენებელია და „სამეფო რბოლების“ 57-წლიან ისტორიაში დევიდამდე ეს მხოლოდ შვიდმა პილოტმა შეძლო.

35 წლის კულჰარდი ფორმულა ერთში მე-13 სეზონს ატარებს. მისი დებიუტი 1994 წლის 29 მაისს შედგა ესპანეთში, როცა „უილიამს-რენოს“ საჭესთან იმოლაში დაღუპული ბრაზილიელი „ჯადოქრის“ აირტონ სენას ადგილი დაიკავა.

შოტლანდიელი ორი წლის შემდეგ „მაკლარენ-მერსედესში“ გადაჯდა და სწორედ ახალზელანდიელ მრბოლ-ინჟინრის ბრიუს მაკლარენის მიერ შექმნილ გუნდში გაატარა თავისი კარიერის საუკეთესო პერიოდი — 13 დიდი პრიზი მოიგო და 2001 წელს მსოფლიოს ვიცეჩემპიონობაც მოიპოვა.

ბოლო ორი სეზონია, რაც დი-სი (დევიდ კულჰარდის ინიციალებიანი მეტსახელია) ავსტრიელი მილიარდერის დიტრიხ მატეშიცის „რედ ბულის“ ღირსებას იცავს. მართალია, საშუალოძალიანი ბოლიდით წარმატებებით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ბრიტანელი გუნდიდან წასვლაზე არ ფიქრობს და საგაისოდ კონტრაქტის გაგრძელების იმედიც აქვს. რაც მთავარია, ბოსობა შოტლანდიელი ვეტერანის გარჯით კმაყოფილია და რაკი, მათი თქმით, ამ შემთხვევაში ძძღოლის ასაკი ხელისშემშლელი სულაც არ არის, ალბათ, მალე გამოცხადდება კიდეც ურთიერთობის გაგრძელებაზე.

ისე, ბოლო ხანს გავრცელდა ხმები, რომ კულჰარდს „ტოიოტა“ ეპატიჟება უხეიროდ მოჯირითე იტალიელის იარნო ტრულის შემცვლელად, მაგრამ დევიდი ამ ვარიანტს უარყოფს, „რედ ბულში“ ოავს მშვენივრად ვგრძნობ და თანაც ახალ გუნდში გადასვლა ხომ ყველაფრის თავიდან დაწყებას ნიშნავსო.

თავის მეორასე რბოლაში დისიმ ბრძოლა საკმაოდ უკანა, მეშვიდე პოზიციიდან კი დაიწყო, მაგრამ მომვებიანი — ერთპიტსტოპიანი ტაქტიკის წყალობით ფინიშთან მესამემ მიაღწია. ეს „წითელი ხარების“ ორწლიან საპირველფორმულო ცხოვრებაში პირველი საპრიზო ადგილია, ხოლო თავად ძძღოლისთვის უკვე 61-ე პოდიუმი და 506-ე საკარიერო ქულა გახლავთ. ორივე ეს შედეგი „სამეფო რბოლების“ ისტორიაში მეტად საპატიო, მეოთხე მაჩვენებელია.

წლევანდელი ჩემპიონატის ბოლოს კულჰარდი ყველაზე მეტრბოლიანთა სიაში მეოთხე საფეხურამდე აიწევს, იტალიელ რიკარდო პატრეზეს 13-წლიან რეკორდს კი, ალბათ, ვერ მოერევა, რადგან საამისოდ კიდევ სამი სეზონი მოუწევს საჭის ტრიალი, რაც საათუო გვგონია.

სავარაუდოდ, პატრეზეს მიღწევას მიხაელ შუმახერი დაამხობს, რადგან გაისადაც აპირებს ჯირითს და შუა სეზონში, ეტყობა, ამ რეკორდსაც დაისაკუთრებს.

გია ახალაძე

ყველაზე მეგრბოლიანთა ოცეული

	მრბოლი	ქვეყანა	რბოლა	მოგება
1	რიკარდო პატრეზე	იტალია	256	6
2	მიხაელ შუმახერი	გერმანია	237	86
3	რუბენს ბარიკელო	ბრაზილია	221	9
4	გერჰარდ ბერგერი	ავსტრია	210	10
5	ანდრეა დე ჩეზარისი	იტალია	208	0
6	ნელსონ პიკე	ბრაზილია	204	23
7	ჟან ალეზი	საფრანგეთი	201	1
8	დევიდ კულჰარდი	დიდი ბრიტანეთი	200	13
9	ალენ პროსტი	საფრანგეთი	199	51
10	მიქელე ალბორეტო	იტალია	194	5
11	ნაიჯელ მენსელი	დიდი ბრიტანეთი	187	31
12	გრემ ჰილი	დიდი ბრიტანეთი	176	14
	ჟაკ ლეფიტი	საფრანგეთი	176	6
14	ნიკი ლაუდა	ავსტრია	171	25
15	ჯანკარლო ფიზიკელა	იტალია	166	2
16	ტიერი ბუტსენი	ბელგია	163	3
17	მიკა ჰაკინენი	ფინეთი	162	20
18	აირტონ სენა	ბრაზილია	161	41
	ჯონი ჰერბერტი	დიდი ბრიტანეთი	161	3
20	ჟაკ ვილნევი	კანადა	159	11

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის, სეოკ-ის აღმასკომის წევრის დილარ ხაბულიანის ძმიშვილის **სერგო ხაბულიანის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ჰოკეი

ჰლეი ოფი 2006

1 ივნისი

აღმოსავლეთის ფინალი

ჰაროლინა 4:3 ბუფალო

ჰაროლინა 4:2 ბუფალო *1:0 0:2 3:0*

1:0 კომადორი (13), 1:1 იანიკი (36), 1:2 ჰეხტი (40), 2:2 უაიტი (42), 3:2 ბრინდამორი (52), 4:2 უილიამსი (60)

ჭადრაკი

საჭადრაკო ოლიმპიადა 2006. XI ტური

კაცები

რუმინეთი 2:2 საქართველო

ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ 0,5:0,5 ბაადური ჯობავა
ანდრე ისტრატესკუ 1:0 ლევან ფანცულაია
ვლადისლავ ნევედნიჩი 0,5:0,5 გიორგი ყაჭეიშვილი
ლევენტე ვაიდა 0:1 მერაბ გაგუნაშვილი

ქალები

საქართველო 1:2 რუსეთი

ნინო ხურციძე 0:1 ალექსანდრა კოსტენიუკი
ლელა ჯავახიშვილი 0,5:0,5 ტატიანა კოსინცევა
მაია ლომინეიშვილი 0,5:0,5 ნადეჟდა კოსინცევა

როლანგაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $

ლაბაძე და ტატიშვილი: ნახევარფინალი

ებიჯეილ სპერსი, ვისაც ერთ თვეში 25 წელი შეუსრულდება, შარშან ამ დროს WTA-ს კლასიფიკაციაში 66-ე ადგილზე იყო, მაგრამ მას შემდეგ ამ ამერიკელი დიაცის საქმეები უკან-უკან წავიდა და მიმდინარე რეიტინგში ებიჯეილი ოდენ 421-ე პოზიციაზე იმყოფება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩვენი ინტერესების სფეროში ეს ამერიკელი იმიტომ მოხვდა, რომ ამ დღეებში იაპონიის ქალაქ გუნმას ხალიჩაზე ITF-ს (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) ეგიდით მიმდინარე ტურნირში ასპარეზობს და დღეს, ნახევარფინალურ მატჩში ქართული ჩოგბურთის ნორჩ იმედს ანა ტატიშვილს უნდა შეხვდეს.

დიახ, ანა უკვე ნახევარფინალშია და ჩოგბურთელისთვის, რომელიც სეზონის დასაწყისში კლასიფიკაციის 1151-ე საფეხურზე იყო, ეს უკვე დიდი წარმატებაა. ორი მასპინძლის — კაორუ მაეზავასა და პირველ ნომრად განთესილი ერიკა ტაკაოს ძლევის შემდეგ ჩვენებურმა მეოთხედფინალში ბერძნული წარმოშობის ავსტრალიელ კრისტინა ჰორიატოპულოსს სამ სეტში 5:7 7:5 6:1 მოუგო.

ანგარიშიდანაც ჩანს და ანამ ოზბერძენის წინააღმდეგობა მეორე სეტის ბოლოსღა გატეხა და მესამეში კი მეტოქეს სულ თავბედი აწყვლინა. ამ გამარჯვებით ტატიშვილმა კარიერაში პირველად უწია რაგინდარა საერთაშორისო შეჯიბრის ნახევარფინალს და იმედია, უფრო წინ წასვლასაც შეძლებს. თუმცა, ასეც რომ არ მოხდეს, ანა მაინც გვარიან ნახტომს გააკეთებს რეიტინგში და ხუთ თვეში 1151-ე ადგილიდან 350-ზე ასული, გუნმაში წარმატებული თამაშის წყალობით კიდევ უფრო მაღლა ავა.

ნახევარფინალს უწია გერმანულ ქალაქ ეტლინგენის მიმდინარე ჩელენჯერზე ირაკლი ლაბაძემაც. ესპანელ სანტიაგო ვენტურასთან გამარჯვების შემდეგ ჩვენებურმა გაწვიმების გამო ორ დღედ გაწელილ მატჩში 7:6 1:6 7:6 სძლია გერმანელ ანდრეას ბეკს, ხოლო მეოთხედფინალში 7:6 6:4 დაჯაბნა ამერიკელი ჰუგო არმანდო. დღეს ირაკლი პირველ ნომრად განთესილ მასპინძელს სიმონ გრეულს ეთამაშება.

გაგრძელება უეჭველად იქნება

ბლეიკი ეული ამერიკელის როლმა დააინტერესა

2 ივნისი

კაცები

მეორე წრე

დავიდ ფერერი (15, ესპანეთი) — ჯერემი ჩარდი (საფრანგეთი) 6:1 6:4 3:6 6:1; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 4:6 6:4 6:4 6:1; **ჯეიმს ბლეიკი** (8, აშშ) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:7 6:2 6:4 6:4; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — კევინ კიმი (აშშ) 6:2 6:1 6:4

მესამე წრე

გასტონ გაუდიო (10, არგენტინა) — ხუან-კარლოს ფერერო (24, ესპანეთი) 7:5 7:5 7:6; **მარიო ანჩიჩი** (12, ხორვატია) — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 6:1 6:2 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო** (6, რუსეთი) — კარლოს მოია (30, ესპანეთი) 6:1 7:5 6:3; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:1 6:2 6:7 7:5; **ტომაშ ბერდიხი** (20, ჩეხეთი) — ნიკლას კიფერი (13, გერმანია) 6:1 (კიფერი დანებდა); **ტომი რობრედო** (7, ესპანეთი) — ლუკაშ დლუჰი (ჩეხეთი) 6:1 6:4 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 2:6 5:7 6:4 6:2 6:4; **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) — რაემონ სლუტერი (ჰოლანდია) 2:6 6:4 6:3 3:6. 6:1

ქალები

მეორე წრე

ანა-ლენა გროენეფელდი (13, გერმანია) — ჯამეა ჯექსონი (აშშ) 6:7 6:2 6:1; **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — ვიკტორია კუტუზოვა (უკრაინა) 3:6 6:0 6:4; **ივანა ლისიპაჩი** (ხორვატია) — ჟი ჟენგი (ჩინეთი) 6:4 6:4; **მარტინა ჰინგისი** (12, შვეიცარია) — ზუზანა ონდრასკოვა (ჩეხეთი) 6:1 6:3; **ანაბელ მედინა-გარიგესი** (ესპანეთი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:3 4:6 6:0; **კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპანეთი) 6:0 6:3

მესამე წრე

პატი შნიდერი (7, შვეიცარია) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 2:6 7:5 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (8, რუსეთი) — ნა ლი (ჩინეთი) 6:3 7:6; **დინარა საფინა** (14, რუსეთი) — კატარინა სრებოტნიკი (24, სლოვენია) 6:3 6:4; **ფრანჩესკა სკიავონე** (9, იტალია) — ფლავია პენეტა (17, იტალია) 4:6 6:1 9:7; **ვინუს უილიამსი** (11, აშშ) — კაროლინა შპრემი (ხორვატია) 7:5 6:3; **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) 6:3 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (16, ჩეხეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:1 6:7 6:0; **მარია შარაპოვა** (4, რუსეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:0 7:5

პარიზში როგორც იქნა გამოიდარა და ჩოგბურთელებიც დილიდანვე შეესივნენ კორტებს. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — გუშინ ფაქტობრივად ორი სათამაშო დღის მატჩები იყო გასამართი, რადგანაც ხუთშაბათს ჯერ წვიმის, შემდეგ კი დაღამების გამო ბლომად შეხვედრები გადაიდო.

დაზარალებულთა სიაში მარტინა ჰინგისი და კიმ კლაისტერსიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც გუშინ მალევე მოათავეს თავიანთი საქმე და შაბათისთვის კარგად დასვენებასაც მოასწრებენ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მაინც ჰინგისია, რომელიც დიდებულ ფორმაშია და ძალიან დახვეწილ თამაშსაც აჩვენებს. მარტინას საკუთარი მოწოდებაც გამოუსწორებია — თამაში პირველი ჩაწოდების 80-პროცენტიანი მაჩვენებელით დაასრულა, რაც მართლაც ფანტასტიკური შედეგია.

„მართლა კარგად ვითამაშე — კარგად ვაწოდებდი, კარგადაც ვმოძრაობდი. მოკლედ, ყველაფერი მშვენივრად წამივიდა. იმედია, ასე გავაგრძელებ, თუმც ვგრძნობ, რომ მომატებაც შემიძლია“ — თქვა ჰინგისმა ნამატჩევს.



ელენა დემენტიევამ მესამე წრეში დიდი ბრძოლით გააღწია

AFP პარიზიდან

ჰინგისისგან განსხვავებით, არ დაადგა საშველი ელენა დემენტიევას, რომლის ჩაწოდებაზეც უკვე კარგა ხანია, მწარედ ხუმრობენ. ელენამ ეს ნაკლი ვერაფრით გამოასწორა, რაც მას დიდ პრობლემებს უქმნის ხოლმე. გუშინაც ვიქტორია კუტუზოვას ცოტა მეტი ფხა რომ გამოეჩინა, დემენტიევა აუცილებლად დაისჯებოდა, მაგრამ რუსის კლასმა მაინც თავისი გაიტანა და ელენაც მესამე წრეში გავიდა.

კარგად გამოიყურება ვინუს უილიამსიც, რომელიც სულ უფრო უმატებს. ამერიკელმა წლეულს საკმაოდ ბევრი თამაშის ჩატარება მოასწრო ევროპულ გრუნტზე, რის გამოც პარიზშიც ჩაუქობს. უფროსი უილიამსის ამჟამინდელი მსხვერპლი კაროლინა შპრემი იყო, რომელმაც ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ მაინც ვერას გახდა გოროზ ამერიკელთან.

ძალიან საინტერესო გამოდგა იტალიური დერბი, სადაც ფრანჩესკა სკიავონეს მეტი ძალა და უკეთესი ნერვიული სისტემა აღმოჩნდა თავის სანაკრებო პარტნიორ ფლავია პენეტასთან შედარებით.

ჯერჯერობით კარგად მიდიან დინარა საფინა და სვეტლანა კუზნეცოვა — არც ზედმეტ ძალებს ხარჯავენ და თანდათანობითაც უმატებენ. წესით, ორივე დიდ თავსატეხად უნდა იქცეს ფავორიტებისათვის.

კაცებში კი კვლავაც აგრძელებს თავის წარმატებულ სვლას პარიზში შერჩენილი ეული ამერიკელი ჯეიმს ბლეიკი, რომლის კარგი თამაშიც ნამდვილ სიურპრიზად იქცა — ჯეიმსს აქამდე გრუნტზე ყოველთვის უჭირდა, ბოლო ხანებში კი ევროპაში სათამაშოდ არცთუ დიდი სიამოვნებით ჩამოდიოდა ხოლმე. თუმც ეს ბლეიკს ხელს ვერ უშლის და ისიც კარიერაში პირველად „როლან გაროსის“ მესამე წრეში გავიდა. ამერიკელს ხუთშაბათიდან ერთ სეტიანი დეფიციტი გაღმოჰყვა ბოლო დროს კარგად ათამაშებულ ნიკოლას ალმაგროსთან, მაგრამ გუშინ ბლეიკმა ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყო ესპანელს და სამი სეტიც თითქმის უპრობლემოდ მოუგო.

ამერიკელ კაცთაგან პარიზს ჯეიმს ბლეიკიღა შერჩა

AFP პარიზიდან

„საინტერესო როლში ვარ — ერთადერთი ამერიკელი დავრჩი. ეს ახალი გრძნობაა, რადგან ამ სტატუსით ენდი (როდიკი) სარგებლობს ხოლმე, თუმც როცა კორტზე გავდივარ, ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ“ — ხუმრობდა ბლეიკი.

ყველაზე დიდ ინტერესს კი „როლან გაროსის“ ორი ყოფილი ჩემპიონის, 2003 წლის ტრიუმფატორ ხუან-კარლოს ფერერისა და 2004 წლის გამარჯვებულ გასტონ გაუდიოს შეხვედრა იწვევდა.

ამ მატჩში ნამდვილ ბრძოლას მოელოდნენ, თუმც დღეს ფერეროსგან მხოლოდ აჩრდილი თუა დარჩენილი იმ ჩოგბურთელისგან, ვინაც პარიზში იპირველა. ესპანელმა ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ყოველთვის პასიურობდა და შედეგად სეტის მოგებაც ვერ შეძლო.

კიდევ ნიკოლაი დავიდენკო უნდა აღინიშნოს — მოსკოველმა მიხაელ იუჟნის წაგებისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო და პარიზის კიდევ ერთ ყოფილ ტრიუმფატორ კარლოს მოიას შანსი არ დაუტოვა.

კვლავაც დაუმარცხებელია პარიზის მიწაზე რაფაელ ნადალი — შარშან დებიუტი ჰქონდა და ტურნირი მოიგო, წლეულს კი აგერ კევინ კიმის დამარცხებით მეორე წრეც იოლად დაძლია.

„ცუდად დავიწყე, მაგრამ პირველი სეტის ბოლოს გამოვასწორე. განსაკუთრებით კარგად მეორე სეტში ვითამაშე“, — საკმაოდ თვითკრიტიკული იყო ნადალი.

და კიდევ, ნადალის გრუნტზე დაუმარცხებელმა სერიამ უკვე 55-ს უწია. გაგრძელება უეჭველად იქნება.

ძახა ლომაშვილი

ბარბაროსთა ტურნე. 4 ივნისი. 18.00. თბილისი. «მიხეილ მესხი»

საქართველო - ბარბაროსები

გუშინ, გამთენიისას, თბილისის აეროპორტის მებაჟეებს ვარსკვლავების რიგი ედგათ. ორსაათიანი დაგვიანებით საქართველოში 116-წლიანი ისტორიის მქონე, რაგბის მისიონერებად წოდებული „ბარბაროსები“ ჩამოფრინდნენ. ჯენტლმენური ცილინდრებით თავდამშვენებული ტონი მარში, ლეგენდარული სამხრეთ აფრიკის ნაკრების ლეგენდარული კაპიტანი ბობ სკინსტადი, ექვსი ერის უელსელი ჩემპიონი რის უილიამსი, ირლანდიელი კევინ მაგრი, ფრანგი ოლივიე აზამი და ძმანი მათნი საქართველოში თავიანთი მისიის შესასრულებლად ჩამოვიდნენ

გიცნობთ რაგბით და ღვინით

საფერავი და გოგირდები იყო, დუდუკი იქნება

ტონი მარში და გოდერძი შველიძე

ლევან ცაბაძე სად არის? პირველი ეს იკითხეს ტომით ახალზელანდიელმა, ახლა კი ფრანგულსპორტიანმა ტონი მარშმა და ოლივიე აზამიმ.

მარში და აზამი საფრანგეთის ნაკრების ლიდერები არიან. აზამი ინგლისურ „გლოსტერში“ რაგბობს, მარში კი ფრანგულ „კლერმონ-ფერანში“, სადაც დაასრულა კიდეც კარიერა საქართველოს ნაკრების კაპიტანყოფილმა ლევან ცაბაძემ. ახლა ამ გუნდში „ლელოების“ მორკინალები — გოდერძი შველიძე და დავით ზერაქაშვილი თამაშობენ. მარში კი ცაბაძისა და შველიძის ძმაკაცია. მეგობრებმა ერთმანეთი სასტუმროში ნახეს და საფერავით დალოცეს ერთმანეთი. მოგვიანებით ცაბაძესთან, მარშთან და აზამისთან „ბარბაროსების“ მთავარი მწვრთნელი, ავსტრალიელი პატ ოვარდი მივიდა და ლევანს გადაეხვია. სხვათა შორის, კლოდ სორელის წასვლის შემდეგ საქართველოს რაგბის კავშირს ნაკრების მწვრთნელად პატ ოვარდი სწორედ ლევან ცაბაძემ შესთავაზა, შუამავლობაც იკისრა, მაგრამ საქმე ამის იქით არ წასულა. პატ ოვარდს თავიდან სწორედ ამაზე ვკითხეთ...

პატ ოვარდი

— ეს ორი წლის წინანდელი ამბავია. ჩემმა მეგობარმა ლევან ცაბაძემ შემომთავაზა, იქნებ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობას დათანხმდეო. წინააღმდეგი არ ვიყავი, მაგრამ შემდეგ სერიოზული საუბარი აღარ ყოფილა.

— რატომ, იქნებ თქვენი ხელფასი იყო ქართული მხარისთვის მიუღებელი?

— არა, პირიქით, უსაშველოს არაფერს ვითხოვდი... ჩავლილი ამბავია და აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკი.

— ახლა რომ შემოგთავაზონ?

— საქართველოს ნაკრებს ჰყავს შედეგიანი მწვრთნელები, მე კი ძალიან საინტერესო სამუშაო მაქვს.

— სანამ თბილისში ჩამოხვიდოდით, ინგლისთან და შოტლანდიასთან წააგეთ. ევროპულ ტურნეს სერიოზულად არ უდგებით?

— პირიქით, ტურნეზე ლამის სამი შემადგენლობით წამოვედით, უბრალოდ, ძნელია, ორ-სამ დღეში სხვადასხვა ეროვნების და კლუბების მოთამაშეების გუნდი ბოლომდე შეკრა. გპირდებით, რომ კვირის მატჩი გამორჩეულად დაამახსოვრდება ქართველ გულშემატკივარს. დარწმუნებული ვარ, მეტოქეც მხარს აგვიბამს და ლაღი და ჯენტლმენურ რაგბის ვითამაშებთ...

ცნობისთვის: პატ ოვარდი ავსტრალიის ნაკრების და ზე-12-ის ბობოლა „ბრამბიზის“ ყოფილი შუამარბია. ინგლისის ჩემპიონატში თამაშისას სამჯერ აღიარეს საუკეთესო მორაგბედ. „ბარბაროსებში“ ექვსჯერ უთამაშია. ახლა ინგლისურ „ლესტერს“ წვრთნის. მსოფლიოში უკანა ხაზის საუკეთესო გამწვრთნელად ითვლება.

საკვირაო შოუ-ჯახში „ბარბაროსებს“ სამხრეთაფრიკელი ბობ სკინსტადი უყოჩებს. 30 წლის სკინსტადი „ქურციკების“ კაპიტანი იყო 1999 წლის მსოფლიოს თასზე. აქამდე „ბარბაროსებს“ ოთხჯერ უწინამძღოლა და არასდროს დამარცხებულა. სულ კი 7-გზის ბარბაროსია და ოთხი ლელოც გაუტანია. სანაკრებო მონაგარიც შთამბეჭდავია: 34 მატჩი, 10 ლელო.

ბობ სკინსტადი, როგორც ყოველთვის, გუშინაც ღიმილიანი იყო...

— საქართველოსთან მატჩის შემდეგაც კარგ ხასიათზე იქნებით?

— რატომაც არა, მშვენიერი ქვეყანაა, მშვენიერი ნაკრები გყავთ. ახლა კარიერის პიკზე ვარ და ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ასეთ შორეულ ქვეყანაში ჩამოსვლა. როგორც უნდა დასრულდეს მატჩი, მაინც კარგ ხასიათზე ვიჯები, რადგან ამით მხოლოდ რაგბი იხეირებს.

— საფერავს სიამოვნებით აგემოვნებდით, მოგეწონათ?

— ძალიან. სანამ თბილისში გამოვფრინდებოდით, ჩემს მეგობრებს დენი როსოუს და ხიო კრონხეს დავურეკე. ისინი შარშანწინ „ბლუბულზთან“ ერთად იყვნენ თბილისში. მითხრეს, ძალიან მაგარი მასპინძლობა იციან და შესანიშნავი ღვინო აქვთო. ასე რომ, აქ ჩამოსვლისას საერთოდ არ ვნერვიულობდი.

— საქართველოს ნაკრებზეც თუ მოიპოვეთ ინფორმაცია?

— საქართველოს ნაკრებზე ისედაც მქონდა წარმოდგენა. ვიცი, რომ ლამის მთელი გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატში თამაშობს და ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან.

— სხვა?

— სხვა კვირას გამოჩნდება.

ბობ სკინსტადი

საუბრისას ტონი მარში შემოგვიერთდა და ჯერ სკინსტადზე თქვა, ძალიან მაგარია, ჩვენი თიღლისმაო: „თქვენს გუნდზე მე უფრო მეტი ვიცი, მაგრამ რა, ამას არ გეტყვით, მერე შეიძლება ქართველებმა ეს სათავისოდ გამოიყენონ. გოდერძი შველიძე და ლევან ცაბაძე ჩემი ძმაკაცები არიან. სულ მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ვერა და ვერ ვახერხებდი ჩამოსვლას, ახლა კი იდეალური შანსი მომეცა და ხელიდან როგორ გავუშვებდი?! ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, ისაა, რომ კვირას არც ლევანი ითამაშებს და არც გოდერძი. მათთან დაპირისპირება ჩემთვის დამატებითი სტიმული იქნებოდა“.

„ბარბაროსებმა“ გუშინ „შევარდენზე“ ხალისიანად ივარჯიშეს და მერე თბილისურ გოგირდებშიც მოადუნეს კუნთები.

ერთიც: 116-წლიან ბარბაროსულ მატიანეში საქართველო მხოლოდ მეთვრამეტე ქვეყანაა, ვისაც რაგბის მისიონერებმა პატივი დასდეს.

ბაჩო სვანიძე

ბადრი კეთილაძის ფოტოები

ამხანაგური მატჩები

AFP მიონხენგლადბახიდან

გერმანელების გოლყრა მიხაელ ბალაკმა დაიწყო და ტომ ბოროვსკიმ (№18) დაასრულა

გერმანია 3:0 კოლუმბია

1:0 ბალაკი (21), 2:0 შვაინშტაიგერი (37), 3:0 ბოროვსკი (69)

გერმანია: ლემანი, ფრიდრიხი, მერტესაკერი, მეცელდერი, ლამი (პიცლშპერგერი 86), შნაიდერი (ბოროვსკი 61), ფრინგსი (კელი 71), შვაინშტაიგერი (იანსენი 73), ბალაკი, კლოზე (ნოვილი 61), პოდოლსკი (ასამოა 71)

მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP სტოკჰოლმიდან

შვედებიდან ვინ გაიტანდა და — ლარსონი

შვედეთი 1:1 ჩილე

1:0 ლარსონი (32), 1:1 სუაზო (51)

შვედეთი: ისაკსონი, ედმანი, ლუკიჩი, მელბერგი, ალექსანდერსონი (ნილსონი 46), ლიუნგბერგი (კალსტრიომი 46), ლინდეროტი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი (იონსონი 46), იბრაჰიმოვიჩი, ლარსონი

მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი

AFP ლო ბანიდან

იტალია — უკრაინა გუშინ ჰაერში დაეკიდა: ფაბიო კანავარო და ანდრეი ვორონინი

იტალია 0:0 უკრაინა

იტალია: ბუფონი, ოდო, ნესტა (ბარძალი 61), კანავარო (მატერაცი 75), გროსო, კამორანეზი (ბარონე 68), პირლო (პეროტა 58), დე როსი, დელ პიერო (ტოტი 58), ჯილარდინო, ტონი (ინძაგი 58)

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

უკრაინა: შოვკოვსკი, იეზერსკი, ვაშჩუკი, რუსოლი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი (შელაევი 88), გუსინი (სვიდერსკი 90), კალინიჩენკო (ბელიკი 55), როტანი (ნაზარენკო 73), ვორონინი, ვორობეი

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

AFP ვადუციდან

ტოგოს მზე და მთვარე ერთადერთ ვარსკვლავზე ამოსდის: ემანუელ ადებაიორი

ლიხტენშტაინი 0:1 ტოგო

0:1 მოჰამედი (55)

ტოგო: აგასა, აბალო, ნიბომბე, ჩანგაი, აზიავონუ (სალიფუ 46), მ. ტურე, ერასა (ფორსონი 74), რომაო, სენაია (დოსევი 39), ადებაიორი, მოჰამედი

მწვრთნელი: ოტო პფისტერი

ანგოლა 2:3 თურქეთი

1:0 აკვა (31), 1:1 ნეჯატი (53), 1:2 ნიჰათი (71), 2:2 ლავი (83), 2:3 ჰალილ ალტინტოპი (84)

ანგოლა: რიკარდო, ლ. დელგადო, ჟამბა, კალი, ლოკო, ფიგეირედო (ედსონი 61), მაკანგა (მარიო 72), მატეუში (მანტორაში 81), მენდონკა (აიროსა 81), ზე კალანგა, აკვა (ლავი 66)

მწვრთნელი: ლუის გონსალვეში

ტუნისი 0:0 ურუგვაი

ლიბია 1:1 ბელარუსი

ირლანდია

პრემიერდივიზიონი

XII ტური

დროჰედა 1:0 ბოჰემიანსი

დუბლინ სიტი 0:4 კორკი

უოტერფორდი 13 სენტ პატრიჰსი

შელბურნი 4:1 ბრეი

დუბლინი 0:0 დერი

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა XXX ტური

შოპრონი 1:1 ფერენცვაროში

რუმინეთი

A დივიზიონი

XXXIX ტური

გლორია 1:2 კლუჟი

ბაკაუ 0:2 ვასლუი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვა ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ,ეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00